სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 მაისი 2008 №108 (3332) ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი ლიგის პრიორიტეტები

სპორტული პრინციპი მთავარი არ არის?!

გუშინდელ „სარბიელში“ ბათუმელთა სურვილზე გვეწერა, კარგი იქნება, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა თექვსმეტამდე გაიზარდოსო.

შეგახსენებთ: „ბათუმი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი გუნდია, ხოლო მომდევნო სეზონში უმაღლესის 12 გუნდამდე შემცირებაა გადაწყვეტილი.

გუშინ კი, როცა ზღვისპირელებს იქაური ამბების გასაგებად ერთხელაც შევეხმიანეთ, გვარიანად იმედიანი პასუხი მივიღეთ — არის შანსი, ისევ უმაღლეს ლიგაში ვითამაშოთო...

როგორ, რანაირად? ამაზე ამომწურავი პასუხი ჯერ არ გვაქვს და ვეცდებით, მივიღოთ. მაგრამ აქ სხვა რამე გვინდა ვთქვათ: პრაქტიკულად ყოველი სეზონის ბოლოს გავარდნილი გუნდები გათამაშების ფორმატის შეცვლის და, შესაბამისად, უმაღლესში ადგილის შენარჩუნების იმედად არიან. და, რაც მთავარია, ეს იმედი უმეტეს შემთხვევაში უმართლებთ ხოლმე!

ჩვენ არც „ბათუმის“ და არც სხვა რომელიმე გუნდის წინააღმდეგები, რა თქმა უნდა, არ ვართ, მაგრამ წმინდა სპორტული პრინციპების სისტემატურად და ხელაღებით იგნორირება ფეხბურთის წინსვლას რამდენად წაადგება, ამის თაობაზე სერიოზული ეჭვები გვაქვს.

ქეცბაია ჩვენებას არ ცვლის: ჩამოდით, დამელაპარაკეთ



პეტარ სეგრტი და ბრანკო ივანკოვიჩი

ბადრი კეთილაძის ფოტო

რატომ ჩაიშალა სეგრტის ახალგაზრდული შეკრება?

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის მთავარ კანდიდატ ბრანკო ივანკოვიჩთან დაკავშირებას გუშინაც, გუშინწინდელის მსგავსად, ამაოდ ვეცადეთ. თუმც ეს არაფერი. ვარაუდების გამოსათქმელად სხვა ფაქტები უფრო გამოგვადგება. კერძოდ, ის, რომ ივანკოვიჩს პასუხი ორი დღის წინ უნდა შემოეთვალა, მაგრამ პასუხი არ ჩანს. გუშინ კი გვეწერა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა ხორვატ მწვრთნელს პარასკევს სლოვენიურ ლიუბლიანაში შეხვდება. ოღონდაც, იმ შეხვედრაზე კონტრაქტის გაფორმებას არ უნდა ველოდოთ.

ერთი სიტყვით, ივანკოვიჩის დანიშვნა — საერთოდ თუ დაინიშნა — დროში საკმაოდ იწელება, არადა, საქართველოს ნაკრებს 27 მაისს ამხანაგური მატჩი აქვს ესტონეთთან. ამ წუთისთვის ყველაზე რეალურ ვარიანტად ის მოჩანს, რომ ესტონეთთან, მერე კი პორტუგალიასთან, ჩვენს ეროვნულ გუნდს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი გაიყვანს. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ახალგაზრდული ნაკრების დაგეგმილი შეკრება გადაიდო.

და თემურ ქეცბაიას რეკლამირებული ვარიანტი? თემურის მოთხოვნებს თუ გავითვალისწინებთ, ნაკლებად რეალური ჩანს...

ქალთა ფეხბურთში დედოვშჩინა მეფობს!

0:9, 0:18, 0:21 ანუ საუკეთესოა ის, ვინც არ თამაშობს

100 ათასი მამაცი გუნდი გაზპრომის წინააღმდეგ

დღეს მანჩესტერში უეფას თასის ფინალია...

„ზენიტის“ მწვრთნელი დიკ ადვოკაატი ის კაცია, „რეინჯერსს“ ორჯერ რომ მოაგებინა შოტლანდიის პრემიერლიგა.

გლაზგოელთა მწვრთნელი უოლტერ სმიტი მსგავსი შედეგით ვერ დაიკვეხნის.

„ზენიტს“ ზურგს „გაზპრომის“ ყოვლისშემძლე ფულები და რუსული პროფლიგის მხარდაჭერა უმაგრებს, „რეინჯერსი“ კი შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თანადგომა არ უგრძვნია.

და რითი სჯობნის „რეინჯერსი“ „ზენიტს“? იმით, რომ გლაზგოდან მანჩესტერამდე ოდენ 350 კილომეტრია და 100 ათასი სქოთი აპირებს ფინალზე ჩასვლას.

მაგრამ რა? „რეინჯერსის“ ფანობას მხოლოდ 19 ათასი ბილეთი აქვს ნაბოძები და ფეხბურთელებს ლამის ოჯახის წევრებიც გარეთ დარჩეთ.

მოკლედ, ფინალის წინ ყველაფერი საზენიტოდაა, თუმცა ბურთი, რა თქმა უნდა, მრგვალია...

ბრანკო ივანკოვიჩი თუ თემურ ქეცბაია? შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ 27 და 31 მაისის მატჩებში არც ერთი მათგანი არ იყოს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, რადგან საბოლოო „დიახ“-ის თქმა გაჭიანურდა. ქეცბაია ცალკე თემაა: მან თქვა, თუ საქართველოს ნაკრებში დავინიშნები, პარალელურად „ანორთოსისშიც“ უნდა ვიმუშავოო. ცხადია, არცთუ პერსპექტიული წინადადებაა, თუმც გარკვეული არგუმენტებიც ახლავს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას კი პირისპირ ჯერაც არ უსაუბრია კვიპროსის ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელთან...



თემურ ქეცბაია: თუ მოვალ, მთავარ მწვრთნელად მოვალ

ჩამოვიდნენ ფედერაციიდან და დამელაპარაკონ

— ეს ისეთი საკითხია, ტელეფონით არ უნდა წყდებოდეს. ფედერაციის ხელმძღვანელობიდან ვიღაც ხომ უნდა ჩამოვიდეს და დამელაპარაკოს? — გვითხრა ქეცბაიამ, რომელსაც გუშინ კვიპროსზე დავუკავშირდით.

— როგორც შევიტყვეთ, გითქვამთ, ნაკრებში მთავარ მწვრთნელობაზე თანახმა ვიქნები, ოღონდ „ანორთოსისშიც“ უნდა ვიმუშაო პარალელურადო...

— ეს ჩემი წინადადებაა. მგონი, არ არის აუცილებელი, ნაკრების თავკაცი მაინცდამაინც იმ ქვეყანაში ცხოვრობდეს, რომლის მწვრთნელიცაა. თუ ნაკრებში ჩემი დანიშვნა გადაწყდა, აუცილებლად გვერდით მეყოლებიან ის მწვრთნელები, რომლებიც დაკავირდებიან საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს. მინდა, რომ ჩემს ირგვლივ ქართულ ფეხბურთში კარგად ჩახედული პიროვნებები იყვნენ.

— შეგეკამათებით: ბოლო წლებში არ გვახსენდება პრეცედენტი, ნაკრების მწვრთნელი პარალელურად კლუბშიც მუშაობდეს და მით უმეტეს, სხვა ქვეყანაში...

— მგონი, შეუძლებელი არაფერია. და თუ შეუძლებელია, მაშინ რა გაეწყობა. თუმც, ხომ გეუბნებით, ჩამოვიდნენ ფედერაციის ხელმძღვანელები და დამელაპარაკონ. ამბობენ, ვიზის პრობლემა გვაქვსო. არცთუ ძნელი გასაკეთებელია ვიზა. თვეზე მეტია, ამბობენ, ჩამოსვლა გვინდაო და, კი ბატონო, ველოდები. ასე ზეპირად ლაპარაკი გამოგვდის — ჟურნალისტებთან კი არა, ფედერაციის ხელმძღვანელებთან უნდა წყდებოდეს ეს საკითხი.

— ნაკრებში მთავარი მწვრთნელის თანაშემწეობას თუ დათანხმდებით?

— არა. მე თუ საქმეს ხელს მოვკიდებ, ჩემით უნდა გავაკეთო. ისეთ ასაკში ვარ, რეგულარული სამუშაო მჭირდება. რაც უნდა იყოს, ახალი დაწყებული მაქვს მწვრთნელობა და პრაქტიკისთვის არ არის კარგი, თვეების განმავლობაში ველოდო ერთ-ორ თამაშს.

— გასაგებია. სხვა შემოთავაზებები არ გაქვთ?

— იყო ბერძნული კლუბების ვარიანტები, მაგრამ უარი ვთქვი. თუ ვმუშაობ, ჩემი იდეებით უნდა ვიმუშავო, სხვას მხარში ამოვუდგე და ჯერ მისი აზრი იყოს გამსვლელი, მერე ჩემი, არ მაწყობს.

— „ანორთოსისში“ რას ამბობენ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი ხართ?

— რა უნდა თქვან... ცხადია, არ უნდათ, რომ გუნდიდან წავიდე.

— კვიპროსის ჩემპიონები უკვე გახდით და მალე თასის ფინალიც გელით...

— დუბლის შესრულება მართლაც კარგი იქნება. დუბლის კი არა, ჰეთ თრიქის: წლეულს კვიპროსის სუპერთასიც მოვიგეთ.

— კვიპროსის ნაკრებზეც გვითხარით: რეალურად, იმაზე ძლიერი ნაკრები ეყოლებათ, ვიდრე წინა შესარჩევ ციკლში ჰყავდათ?

— ამას ვერ ვიტყვი. ივივე ფეხბურთელები არიან, ნაკრების ბირთვი არ შეცვლილა და არც მგონია, უახლოეს ერთ-ორ წელიწადში შეიცვალოს. ხელწამოსაკრავი ნაკრები ნაღდად არაა, მართალია, შესარჩევში ბოლოსწინა ადგილზე გავიდა, მაგრამ რამდენიმე კარგი მატჩი ჩაატარა. ჩემი აზრით, არასერიოზულად თუ მიუდგება, იტალიასაც კი გაუჭირდება კვიპროსის დამარცხება.

ილია ნანოგაშვილი

მე მზად ვარ, მაგრამ...

პეტარ სეგრტი: ივანკოვიჩს აქაურობა მოეწონა

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცობის ყველაზე რეალურმა კანდიდატმა, ხორვატმა ბრანკო ივანკოვიჩმა მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა. არადა, ესტონეთ-პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩები კარზეა მომდგარი და, შესაბამისად, იმის ალბათობაც გაიზარდა, რომ ნაკრებს დროებით სათავეში ახალგაზრდულის ხორვატი მწვრთნელი პეტარ სეგრტი ჩაუდგეს. ორიოდ კვირის წინ სეგრტმა „სარბიელთან“ ინტერვიუში მზადყოფნა გამოთქვა, რომ თუკი ამხანაგურ მატჩამდე ახალი თავკაცის დანიშვნა ვერ მოესწრებოდა, სიამოვნებით ითავებდა ეროვნულის გაძღოლას, თუმცა იქვე დასძინა, ეს მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტიაო. გუშინ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს ერთხელაც შევეხმიანეთ ამის თაობაზე...

— ესტონეთთან მატჩამდე ორი კვირაღა დარჩა და ეროვნული გუნდი კვლავ უმწვრთნელოდაა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას თქვენთვის ხომ არ შემოუთავაზებია ნაკრების დროებით გაძღოლა?

— მართალია, ესტონეთთან მატჩი შორს არ არის, მაგრამ მანამდე ალბათ ბევრი რომ გაირკვევა. ბრანკო ივანკოვიჩთან ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ და საბოლოო პასუხიც ჯერ არ მიგვიღია. ვფიქრობ, ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ ეროვნულ ნაკრებს დროებით მე ჩავიბარებ. ფედერაციის ხელმძღვანელობა ახლა ივანკოვიჩის დანიშვნაზე ფიქრობს და თუკი ეს ვარიანტი არ გამოვიდა, ჩემი საკითხი ალბათ მერეღა დაადგება.

— მაშ, რატომ გადაიდო ახალგაზრდული ნაკრების უცხოური შეკრება? ფედერაცია აქედანვე ხომ არ იჭერს თადარიგს, კარსმომდგარ მატჩებში ეროვნული გუნდი რომ ჩაგაბაროთ?

— შეკრების გადადების მიზეზი მართლაც ეროვნულ ნაკრებს უკავშირდება, მაგრამ სულ სხვა კუთხით. მოგეხსენებათ, მე ასაკობრივი ნაკრებების ტექნიკური დირექტორი ვარ და ეროვნულში მწვრთნელი რომ დაინიშნება, მის გვერდით უნდა ვიყო. ახალჩამოსულს უნდა დავუხასიათო ახალგაზრდული და სხვა ასაკობრივი ნაკრების ყველა გამორჩეული მოთამაშე. ჩემი გუნდის შეკრებამ ამიტომაც გადაიწია და ის, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში გაიმართება.

— ახლა ისე გამოდის, რომ ეროვნულში ახალი მწვრთნელის დანიშვნას ესტონეთთან მატჩამდე უნდა ველოდოთ. თქვენ ივანკოვიჩთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა გაქვთ და ეგებ იცით კიდეც მისი სავარაუდო პასუხი...

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ივანკოვიჩს ძალიან მოეწონა აქაურობა. ის კმაყოფილი დარჩა თბილისში და საგურამოში ნანახით და რაკი მოლაპარაკებები გაგრძელდა, ესე იგი, ჩვენს ნაკრებში მუშაობაზეც სერიოზულად ფიქრობს. ივანკოვიჩი საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ, ცხადია, შეთანხმება რომ მოხდეს, ის ორივე მხარისთვის უნდა იყოს მისაღები.

— და როდის იტყვის ივანკოვიჩი საბოლოო სიტყვას?

— სამ-ოთხ დღეში ყველაფერი გაირკვევა.

ირაკლი პერტაია

ნალჩიკი სირაძეს იტოვებს

რას იტყვის ქართველი?

ნალჩიკის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა იმ ფეხბურთელებთან აპირებს კონტრაქტების გაგრძელებას, რომლებიც იჯარით ჰყავს აყვანილი. მათ შორისაა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძეც.

სირაძე სეზონის დასაწყისში ნალჩიკელებმა გერმანული „პადერბორნიდან“ გადაიყვანეს. ჩვენებურს ყაბარდოულ კლუბთან კონტრაქტი მაისის ბოლომდე აქვს.

იმის მიუხედავად, რომ ნალჩიკელთა შემადგენლობაში დიდი კონკურენციაა და სირაძესაც სათამაშო დრო აკლია, ხელმძღვანელობა მისით კმაყოფილია და გაშვებას არ აპირებს...

„ჩვენ ყველა ფეხბურთელთან ვისაუბრებთ და გავარკვევთ, ვინ იქნება გუნდისთვის საჭირო. ყველა მათგანის კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც სურვილისამებრ გუნდის დატოვება შეუძლიათ. ორ-სამ დღეში ყველაფერი გაირკვევა“ — განაცხადა ნალჩიკელთა გენერალურმა დირექტორმა სერგეი ბალოვმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პლაჟელთა მარცხები

საქართველოს პლაჟის ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე და მესამე მატჩიც წააგო — 1:4 ინგლისთან და 0:7 ესტონეთთან.

შეგახსენებთ: გუშინწინ ჩვენებმა 3:15 წააგეს პორტუგალიასთან.

ლუკა თალაკვაძე

ამხანაგური მატჩი

დარმშტადტი 5:11 ბაიერნი

ინგლისი

ჩემპიონატი. კლეი ოფი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

ბრისტოლი 2:1დ.დ. (0:1) ქრ. პალასი (2:1)

უოტლანდია

პრემიერლიგა. XXXVIII ტური

გრეტნა 1:0 ჰართსი

შვედეთი

სუპერლიტა. V ტური

ლანდსკრონა 1:1 იონკოპინგი

მიალბი 1:1 იორგრიტე

ფალკენბერგი 2:0 ბანკეფლო

სლოვაკეთი

I ლიგა. XXX ტური

დუბნიცა 2:0 მორავცე

ჩეხეთი

თასის ფინალი

ლიბერეცი 0:0 (3:4პ) სპარტა

პოლონეთი

თასის ფინალი

ვისლა 0:0 (3:4პ) ლეგია

სლოვენია

თასის ფინალი

ინტერბლოკი 2:1 მარიბორი

სულ ეს ხართ?!

ბორჯომი და დილა ფულით გამოძვრნენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართა და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ლმობიერი სასჯელები გამოუწერა „ბორჯომს“ და გორის „დილას“.

7 მაისს თბილისის „ამერთან“ სათასო მატჩის შესვენებაზე მოწყობილი დაკა-დაკა „ბორჯომს“ ოდენ 2 000 ლარი დაუჯდა.

რა შეეხება ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩის ჩამშლელ გორის „დილას“, 5 000 ლარით დაჯარიმდა და 0:3 წაგება ჩაეთვალა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე კი წერია: „განმეორებით შემთხვევაში კლუბი მოიკვეთება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გათამაშებიდან.“

დისციპლინარებს თავიანთი არგუმენტები ჰქონდათ ვერდიქტის გამოტანისას, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ სასჯელები მთლად ადექვატური არ არის.

„დილასთვის“ ტექნიკური წაგების ჩათვლის მერე კი გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

დინამო	25	22	1	2	65:18	67
ვიტ ჯორჯია	25	19	3	3	45:12	60
ზესტაფონი	25	17	5	3	53:15	56
ოლიმპი	25	15	4	6	25:16	49
ამერი	25	15	3	7	47:24	48
მესხეთი	25	10	6	9	27:30	36
ბორჯომი	25	9	4	12	30:35	31
მგლები	25	9	3	13	23:31	30
სიონი	25	8	5	12	29:35	29
ლოკომოტივი	25	6	6	13	23:34	24
სპარტაკი	25	5	8	12	15:27	23
მერანი	25	6	1	18	15:49	19
ბათუმი	25	4	4	17	15:47	16
დილა	25	1	5	19	12:53	8

თამაშის ჩაშლა მხოლოდ ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 25-ე ტურში „სპარტაკი“ — „დილას“ მატჩი ჩაიშალა: გორელმა ფეხბურთელებმა პირველი ტაიმი ითამაშეს, მერე კი მოედანზე გასვლა აღარ ისურვეს. „დილა“ კი დაისაჯა, თუმცა ქართლელთა მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილი ფეხბურთელთა დასჯასაც ითხოვდა. გუშინ „დილას“ კაპიტანს, ვეტერან გიორგი ბალაშვილს შევეხმიანეთ და მომხდარის მიზეზი გამოვკითხეთ...

გიორგი ბალაშვილის ფოტო

— ყოველთვის თამაშის ჩაშლის წინააღმდეგი ვიყავი და, რა თქმა უნდა, ცუდია, რომ ეს გორში მოხდა.

— მაინც რატომ არ გავიდა გუნდი სათამაშოდ მეორე ტაიმში?

— ხელფასები არ გაუციათ და ფეხბურთელების უმრავლესობამ ასე გადაწყვიტა.

— არ გიცდია, რომ გადაწყვეტილება შეეცვალათ?

— ძალიან კატეგორიულები იყვნენ და აზრი არ ჰქონდა. მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილი სთხოვდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— ხორგუაშვილი ამბობს, რომ ამ ბოიკოტის მიზეზი ვაი-გულშემატკივრები არიან, მათ წააქეზეს მოთამაშეებიო...

— პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელში მხოლოდ ფეხბურთელები ვიყავით და იქ არც ერთი ქომაგი არ შემოსულა. არა მგონია, ასეთი რამ გაეკეთებინათ, მათ ხომ იცოდნენ, რომ მატჩის ჩაშლის შემთხვევაში, „დილას“ მკაცრად დასჯიდნენ.

— ისიც ითქვა, ყველა ფეხბურთელი, ვინც თამაში იუარა, დისკვალიფიკაციას იმსახურებსო. ამასვე ითხოვს ხორგუაშვილიც...

— კიდევ ერთხელ ვამბობ: თამაშის ჩაშლა მიუღებელია და ახლა პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადასაწყვეტია, როგორ მოიქცევა. სხვას ვერაფერს გეტყვით...

ნუკრი ლოლაძე

ბათუმი ევროპა-დარჩეს!

„ბათუმი“ პირველად გავარდა უმაღლესი ლიგიდან, თუმც როგორ და რანაირად — შესაძლოა, ზღვისპირელებმა მომავალი სეზონი ისევ ზედა ეშელონში გაატარონ. შესაძლოა კი არა, შევიტყვეთ, ფაქტობრივად, დარჩენილია უმაღლესშიო...

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ბათუმშია, კლუბის ინფრასტრუქტურას ეცნობა, ხვალ კი რეგიონის ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა შეხვდეს. მოკლედ, დღეს-ხვალ ალბათ ბევრი რამ გაირკვევა — გვითხრა „ბათუმის“ უფროსმა თამაზ ცინარიძემ და როცა უმაღლესში დარჩენა-გავარდნის ამბავზე ვკითხეთ, გვიპასუხა, არის შანსი, ისევ უმაღლესში ვითამაშოთო.

გასაგებია, ბათუმი დიდი ქალაქია და მართლაც კარგი იქნება, უმაღლეს ლიგაში გუნდი ჰყავდეს, მაგრამ მეორე მხარესაც შევხედოთ: რაღა აზრი აქვს სპორტულ პრინციპს და გავარდნა-დარჩენისთვის ბრძოლას?! ხვალ „დილამ“ და „მერანმაც“ რომ მილიონები გადმოალაგონ, მათ რა პასუხი გაეცემათ?! ექნება ვინმეს იმის თქმის უფლება, „ბათუმი“ უნდა დარჩეს უმაღლესში და თქვენ არაო?!

ამით „ბათუმს“ კი არ ვემტერებით, პრინციპია გაუგებარი!

ილია ნანოგაშვილი

ზენიტიც, მაგრამ უფრო რეინჯერსი

რამ გაახსენა შოთა არველაძეს მიკი მაუსი

„უეფას თასის ფინალში ჩემი სიმპათიები „რეინჯერსისკენაა“, მე ამ გუნდში ოთხი წელიწადი ვითამაშე, დღევანდელი „რეინჯერსის“ შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი ჩემი თანაგუნდელი იყო. თუმც „ზენიტს“ სიმპათიით ვუყურებ, მწვრთნელ დიკ ადვოკაატთან ხომ „რეინჯერსშიც“ ვმუშაობდი. ზენიტელთა ფერნანდო რიკსენიც ჩემ დროს იყო გლაზგოურ კლუბში, ხოლო ფათიჰ თეკე „ტრაბზონსფორში“, თუმც თეკე მაშინ ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო“ — ეს ამონარიდია შოთა არველაძის ინტერვიუდან, რომელიც ქართველმა ფორვარდმა რუსულ გაზეთს მისცა. ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ...

— რას ელოდებით „ზენიტ“ — „რეინჯერსის“ ფინალისგან?

— პირველ რიგში, ლამაზ ფეხბურთს. ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩია, თუმც ვფიქრობ, შეცდომის არდაშვების შიში ნაკლებად ექნებათ და ლაღად ითამაშებენ. რაც შეეხება შანსებს, თანაბარია.

— დიკ ადვოკატს როგორ დაახასიათებდით?

— თავის დროზე სწორედ მან მიმიყვანა „რეინჯერსში“. ადვოკაატი გამოცდილი, მცოდნე მწვრთნელია და შედეგებიც ამას მოწმობს. დღევანდელ „ზენიტში“ მისი ხელი აშკარად იგრძნობა, ფეხბურთელებს თავიანთი ძალისა სჯერათ. დიკის მოსვლამდე „ზენიტის“ ამგვარ წარმატებებზე ვინ იფიქრებდა... როდის გახდა ბოლოს „ზენიტი“ ჩემპიონი? მგონი, 1984 წელს. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი... თბილისში მოუგეს „დინამოს“ და მას მერე დაიწყეს გამარჯვებების სერია, რამაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონობამდე მიიყვანა.

— ადვოკაატს ბოლოს როდის ესაუბრეთ?

— კარგა ხანია, აღარ დავკავშირებივართ ერთმანეთს, აი, რიკსენს კი ხშირად ვეკონტაქტები.

— „ზენიტის“ ბოლო თამაშებს თუ უყურეთ?

— დიახ, „ბაიერნთან“ პირველი მატჩი სრულად ვნახე, სანკტპეტერბურგულ თამაშს კი ბოლომდე ვერ ვუყურე. „ზენიტი“ ძალიან მომეწონა, ანდრეი არშავინი შესანიშნავია, თანაც გუნდიც ლამაზ და ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობს.

— როგორაა თქვენი საქმეები ესპანეთში?

— ეს სეზონი წარმატებული ვერ გამომივიდა. ბევრი ვიმკურნალე, „ლევანტეც“ ვერ წყვეტს ციდან ვარსკვლავებს. კარიერის მიწურულს აღმოვჩნდი ისეთ კლუბში, სადაც ფეხბურთელებს ხელფასს ვერ უხდიან. ვერაფრით წარმომედგინა, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში ამგვარი რამ თუ მოხდებოდა. ესპანეთის პრიმერას ხუმრობით „მიკი-მაუს-ლიგასაც“ ეძახით.

ვინ დახვდება საქართველოს



31 მაისს საქართველოს ეროვნული ნაკრები სტუმრად პორტუგალიას გაეჯიბრება.

ჩვენი ეროვნული გუნდი ჯერაც უთავკაცოდაა და არავინ იცის, ვინ ჩაიყვანს გუნდს პორტუგალიაში, თუმცა ამას ალბათ დღე-დღეზე ეშველება. გუშინ კი ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იმ ფეხბურთელთა ვინაობა გამოაცხადა, რომელთაც ევრო 2008-ზე წაიყვანს, ანუ, შესაბამისად, საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ათამაშებს:

მეკარეები: *კიმი (ბენფიკა), რიკარდუ (ბეტისი, ესპანეთი), რუი პატრისიო (სპორტინგი);*

მცველები: *ბრუნო ალვეში (პორტუ), ფერნანდუ მეირა (შტუტგარტი, გერმანია), ჟორჟე რიბეირუ (ბოავიშტა), ჟოზე ბოსინგვა (პორტუ), კლეპერ ჰეპე (რეალი, ესპანეთი), მიგელი (ვალენსია, ესპანეთი), პაულუ ფერეირა (ჩელსი, ინგლისი), რიკარდუ კარვალიუ (ჩელსი, ინგლისი);*

ნახევარმცველები: *დეკუ (ბარსელონა, ესპანეთი), არმანდუ პეტიტი (ბენფიკა), ჟოაუ მუტინიუ (სპორტინგი), მიგელ ველოზო (სპორტინგი), რაულ მეირელეში (პორტუ), კრისტიანუ რონალდუ (მანჩესტერი, ინგლისი), ნანი (მანჩესტერი, ინგლისი), სიმაო (ატლეტიკო, ესპანეთი);*

თავდამსხმელები: *რიკარდუ კვარესმა (პორტუ), ელდერ პოშტიგა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), უგო ალმეიდა (ვერდერი, გერმანია), ნუნუ გომეში (ბენფიკა).*

პორტუგალიელებამდე კი, შეგახსენებთ, ჩვენები 27 მაისს ტალინში ესტონეთს გაეჯიბრებიან. ეს მატჩი „ლე ქოკ არენაზე“, იქაური დროით, 18 საათზე დაიწყება. ბილეთის ფასი კი 150 კრონია (21 ლარი).

ცხრამეტი სამეული
რა დაგვიტოვა ისტორიამ

გურამ ფოლადაშვილის ფოტო

1990

ჩემპიონი: „იბერია“ თბილისი (+24 =6 -4 91:23 78)
ვიცე-ჩემპიონი: „გურია“ ლანჩხუთი (+22 =6 -6 73:20 72)
ბრინჯაოს პრიზიორი: „გორდა“ რუსთავი (+22 =3 -9 63:33 69)

1991

ჩემპიონი: „იბერია“ თბილისი (+14 =5 -0 45:9 47)
ვიცე-ჩემპიონი: „გურია“ ლანჩხუთი (+14 =4 -1 38:15 46)
ბრინჯაოს პრიზიორი: „ქუთაისი“ (+11 =2 -6 34:30 35)

1992

ჩემპიონი: „იბერია“ თბილისი (+27 =6 -5 115:41 87)
ვიცე-ჩემპიონი: „ცხუმი“ სოხუმი (+24 =4 -10 96:53 76)
ბრინჯაოს პრიზიორი: „გორდა“ რუსთავი (+22 =9 -7 71:38 75)

1993

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+25 =2 -5 92:35 77)
ვიცე-ჩემპიონი: „შევარდენი“ თბილისი (+20 =4 -8 66:39 64)
ბრინჯაოს პრიზიორი: „ალაზანი“ გურჯაანი (+20 =3 -9 70:47 63)

1994

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+31 =1 -6 130:45 94)
ვიცე-ჩემპიონი: „კოლხეთი“ ფოთი (+23 =4 -5 87:41 73)
ბრინჯაოს პრიზიორი: „ტორპედო“ ქუთაისი (+15 =7 -10 56:49 52)

1995

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+25 =3 -2 125:33 78)
ვიცე-ჩემპიონი: „სამტრედია“ (+24 =2 -4 75:25 74)
ბრინჯაოს პრიზიორი: „კოლხეთი“ ფოთი (+20 =3 -7 72:28 63)

1996

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+25 =4 -1 109:16 79)
ვიცე-ჩემპიონი: „მარგვეთი“ ზესტაფონი (+22 =2 -6 85:37 68)
ბრინჯაოს პრიზიორი: „კოლხეთი“ ფოთი (+22 =2 -6 69:38 68)

1997

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+26 =3 -1 101:23 81)
ვიცე-ჩემპიონი: „კოლხეთი“ ფოთი (+20 =4 -6 75:28 64)
ბრინჯაოს პრიზიორი: „ბათუმი“ (+18 =8 -4 71:22 62)

1998

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+24 =4 -2 86:15 71)
ვიცე-ჩემპიონი: „ბათუმი“ (+18 =7 -5 58:19 61)
ბრინჯაოს პრიზიორი: „კოლხეთი“ ფოთი (+17 =6 -7 56:27 57)

1999

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+24 =5 -1 91:17 77)
ვიცე-ჩემპიონი: „ტორპედო“ ქუთაისი (+21 =4 -5 73:27 67)
ბრინჯაოს პრიზიორი: „ლოკომოტივი“ თბილისი (+18 =10 -2 43:14 64)

2000

ჩემპიონი: „ტორპედო“ ქუთაისი (+19 =7 -2 70:16 46)
ვიცე-ჩემპიონი: „ვიტ ჯორჯია“ თბილისი (+14 =10 -4 35:19 41)
ბრინჯაოს პრიზიორი: „დინამო“ თბილისი (+16 =10 -2 57:16 41)

2001

ჩემპიონი: „ტორპედო“ ქუთაისი (+20 =8 -4 48:14 44)
ვიცე-ჩემპიონი: „ლოკომოტივი“ თბილისი (+21 =6 -5 49:16 41)
ბრინჯაოს პრიზიორი: „დინამო“ თბილისი (+18 =8 -6 65:29 38)

2002

ჩემპიონი: „ტორპედო“ ქუთაისი (+23 =5 -4 64:18 48)
ვიცე-ჩემპიონი: „ლოკომოტივი“ თბილისი (+22 =5 -5 56:18 47)
ბრინჯაოს პრიზიორი: „დინამო“ თბილისი (+19 =6 -7 57:20 44)

2003

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+24 =4 -4 67:15 48)
ვიცე-ჩემპიონი: „ტორპედო“ ქუთაისი (+22 =6 -4 65:20 46)
ბრინჯაოს პრიზიორი: „ვიტ ჯორჯია“ თბილისი (+20 =5 -7 50:22 41)

2004

ჩემპიონი: „ვიტ ჯორჯია“ თბილისი (+19 =8 -6 50:18 41)
ვიცე-ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+19 =8 -5 65:20 40)
ბრინჯაოს პრიზიორი: „თბილისი“ (+13 =10 -9 53:34 32)

2005

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+23 =6 -7 73:27 75)
ვიცე-ჩემპიონი: „ტორპედო“ ქუთაისი (+20 =10 -6 56:31 70)
ბრინჯაოს პრიზიორი: „თბილისი“ (+21 =6 -9 60:40 69)

2006

ჩემპიონი: „სიონი“ ბოლნისი (+23 =4 -3 57:17 73)
ვიცე-ჩემპიონი: „ვიტ ჯორჯია“ თბილისი (+21 =5 -4 53:17 68)
ბრინჯაოს პრიზიორი: „დინამო“ თბილისი (+20 =4 -6 61:22 64)

2007

ჩემპიონი: „ოლიმპი“ რუსთავი (+19 =6 -1 57:9 63)
ვიცე-ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი (+20 =2 -4 57:19 62)
ბრინჯაოს პრიზიორი: „ამერი“ თბილისი (+17 =6 -3 53:14 57)

2008

ჩემპიონი: „დინამო“ თბილისი
ვიცე-ჩემპიონი: „ვიტ ჯორჯია“ თბილისი
ბრინჯაოს პრიზიორი: „ზესტაფონი“

2000-2004 წლებში ჩემპიონატი ტარდებოდა ორ ეტაპად — მეორე ეტაპზე გუნდებს პირველ ეტაპზე აღებული ქულები უნახევრდებოდათ

სულ რამდენიმე დღე გავიდა, რაც თბილისის „დინამო“ მეცამეტედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მართალია, მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური კიდევ დარჩა, თუმცა საპრიზო სამეული უკვე გარკვეულია.

რახან ჩემპიონ-პრიზიორთა ვინაობა ვიცით, საინტერესოდ ჩავთვალეთ გასული 18 ჩემპიონატის საუკეთესო სამეულების გახსენება.

გვერდით შემოთავაზებულ ცხრილში სწორედ ჩემპიონ-პრიზიორთა მონაცემებია...

კახა შალამბერიძე

ჩემპიონი

დინამო	13
ტორპედო	3
ვიტ ჯორჯია	1
სიონი	1
ოლიმპი	1

ვიცე-ჩემპიონი

ტორპედო	3
ვიტ ჯორჯია	3
გურია	2
კოლხეთი	2
ლოკომოტივი	2
დინამო	2
ცხუმი	1
შევარდენი	1
სამტრედია	1
მარგვეთი	1
ბათუმი	1

ბრინჯაოს პრიზიორი

დინამო	4
კოლხეთი	3
ტორპედო	2
გორდა	2
თბილისი	2
ალაზანი	1
ბათუმი	1
ლოკომოტივი	1
ვიტ ჯორჯია	1
ამერი	1
ზესტაფონი	1

მიხეილ ყაველაშვილი

გაფრი ჯიბლაძის ფოტო

ულტიმატუმი მორჩა, ხელმოწერა დაიწყო
მიხეილ ყაველაშვილს სფფ-ში არავინ დახვდა

კავშირი „ჩვენი ფეხბურთი“ და „ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლის მოთხოვნის ხელმოწერებს აგროვებს.

ეს განცხადება „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებელმა მიხეილ ყაველაშვილმა გუშინ საინფორმაციო ბრიფინგზე გააკეთა.

ყაველაშვილმა წაიკითხა ტექსტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მრავალრიცხოვან მხარდამჭერებთან ერთად, უფლებას იტოვებს, სამართლიანობის აღსადგენად ყველა ღონე იხმაროს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართოს.

ყაველაშვილის განცხადებით, ხელმოწერების შეგროვება მთელი ქვეყნის მასშტაბით მიდის და „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებლები გულშემატკივრებთან შეხვედრებს რეგიონებშიც მოაწყობენ.

ხელმოწერების შეგროვებას იწყებს „ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგაც“ — ხელმოწერების შეგროვება დღეიდან ვერის ბაღში მდებარე „ქომაგთა ლიგის“ ოფისში დაიწყება.

„ჩვენი ფეხბურთის“ თავკაცებს სურდათ, მიმართვის ტექსტი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთათვისაც გადაეცათ, თუმცა ეს ვერ შეძლეს, რადგან იმ დროისთვის ოფისში არავინ დახვდათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინ გამართულ ბრიფინგზე ცნობილი გახდა ისიც, რომ შეიქმნა კავშირის ოფიციალური ვებგვერდი — www.ourfootball.ge.

შეგახსენებთ, რომ ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა ფორუმის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის გადადგომისა და რიგგარეშე არჩევნების ჩასატარებლად მიცემული ვადა გუშინ, 13 მაისს ამოიწურა.

კავშირ ჩვენი ფეხბურთის მიმართვა საზოგადოებას

ძვირფასო თანამემამულენო! როგორც მოგეხსენებათ, დღეს, 13 მაისს, ამოიწურა ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა ფორუმის მიერ მიცემული ვადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სრული შემადგენლობით გადადგომისა და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაზე.

ქართული ფეხბურთის თვითმარქვია ხელისუფლებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არად ჩააგდო საზოგადოებრივი აზრი და თავისი მორჩილი 34 სუბიექტის ხელმოწერით, გულშემატკივართა ფორუმის ზემოაღნიშნული მოთხოვნები უარყო. კავშირ „ჩვენი ფეხბურთის“ მიერ სრულიად საქართველოს მასშტაბით დაიწყო ხელმოწერათა შეგროვება, რითაც გულშემატკივარი ცალსახად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ქართული ფეხბურთის ამჟამინდელ მესვეურთა და მათ მიერ წარმოებული პოლიტიკის მიმართ.

ხელმოწერების პროცესი გაგრძელდება მომავალშიც. გარდა ამისა, „ჩვენი ფეხბურთი“ თავის მრავალრიცხოვან მხარდამჭერებთან ერთად, იტოვებს უფლებას, სამართლიანობის აღსადგენად ყველა ღონე იხმაროს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართოს.

კავშირი „ჩვენი ფეხბურთი“
13 მაისი, 2008 წელი



კალაძემ ბოდიში მოიხადა

იტალიურმა „მილანმა“ სერია A-ს ბოლო ტურში 1:3 წააგო და საჩემპიონთალიგო ადგილი დაკარგა. ახლა შავ-წითლები ბოლო ტურის იმედად არიან — თავად უნდა მოიგონ, „ფიორენტინამ“ კი ვერ უნდა იმარჯვოს.

„ნაპოლისთან“ „მილანმა“ ვერაფერი გააწყო და საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემაც ერთ-ერთი უარესი შეფასება მიიღო კარიერაში — 4,5 ქულა. პირველი გოლი ნეაპოლელმა სლოვაკმა მარეკ ჰამშიკმა სწორედ კალაძის უხეში შეცდომის შემდეგ გაიტანა.

„ბოდიშს ვუხდი ჩვენს გულშემატკივრებს. „ნაპოლისთან“ მართლა საშინლად ვითამაშეთ, მაგრამ უიმედოდ არ ვართ. „ნაპოლიმ“ პირველ ტაიმში ძალიან ძლიერად ითამაშა და მისი შეტევების მოგერიება გაგვიჭირდა“ — განუცხადა კალაძემ იტალიელ ჟურნალისტებს.

კახა შალამბერიძე

ლაშა ჭელიძე ისევ თავშია

ყაზახური პრემიერლიგის მე-9 ტურში ლიდერმა ყიზილორდას „ქაისარმა“ სტუმრად ალმატის „კაირატთან“ მატჩი 1:1 დაასრულა.

ყიზილორდელმა ლაშა ჭელიძემ შეუცვლელად ითამაშა.

უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკი“, რომელშიც ძმები, ზვიად და გიზო ჯელაძეები თამაშობენ, შინ ყარაგანდის „შახტიორს“ 1:1 დაუზავდა.

ზვიადმა სრულად ითამაშა და 61-ე წუთზე გაფრთხილება მიიღო. რაც შეეხება მის უმცროს ძმას, თამაშში 82-ე წუთზე ჩაერთო.

„შახტიორში“, რომელიც მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილის გარდა, თავდამსხმელმა ლევან მელქაძემაც დატოვა, აღარც ლაშა ნოზაძე გამოჩენილა.

9 ტურის შემდეგ „შახტიორი“ მე-9 ადგილზეა, „ვოსტოკი“ კი — მეთორმეტეზე.

კახა შალამბერიძე

კვარაცხელია კუნასს დაპკლდა

ლიტვის ჩემპიონატის მე-7 ტურში გივი კვარაცხელიას, ნუკრი მანჩხავას და აკაკი ხუბუტიას „კუნასმა“ სტუმრად ვილნიუსის „უალგირისი“ 2:0 დაამარცხა.

ამ შეხვედრაში კვარაცხელიას არ უთამაშია, მანჩხავა 90 წუთი გაისარჯა, ხოლო ხუბუტია 70-ე წუთზე შეცვალეს.

ლიტვის რვაგუნდა ჩემპიონატში „კუნასი“ 7 ტურის შემდეგ მისთვის უჩვეულო, მე-3 ადგილზეა.

კახა შალამბერიძე

რა ხდება ქალთა ფეხბურთში? ეს კითხვა მაინცდამაიც აქტუალური და საინტერესო არასოდეს ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანში საერთაშორისო ტურნირზე წასულ ქალ ფეხბურთელთა ნაკრებში თურქული „ტრაბზონსფორის“ ლეგიონერები, გულნარა გაბელია და ქრისტინე შადობა არ მიიწვიეს, საქმეში გარკვევა ვცადეთ. ცოტა არ იყოს, უცნაურია: თურქეთში ქართველებზე მზე და მთვარე ამოსდით, ნაკრების თავკაცობა კი ამას ყურადღებას არ აქცევს. კი ბატონო (ან თუ გნებავთ, ქალბატონო), ჩავთვალოთ, რომ გაბელია-შადობაზე უკეთესი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ... თვალებს ხომ არ ვიბრმავებთ?! განა ეს ის ნაკრები არ არის, 0:3 რომ წააგებს და სიხარულისგან ჭკუას კარგავს, კიდევ კარგი, არ გავნადგურდითო?! განა ეს ის ნაკრები არ არის, 0:18, 0:21, 0:9 და სხვა „საინტერესო“ ანგარიშები რომ ჩამოუტანია უცხოეთიდან?! გასაგებ მიზეზთა გამო, ქალთა ნაკრებისგან მსოფლიოს ჩემპიონობას არავინ ითხოვს, მაგრამ უსამართლობას ყურიდან ყურში ნამდვილად ვერ გავატარებთ და გაბელია-შადობას თაობაზე ამ გოგონების მენეჯერ კახა ადამიას შევეხმიანეთ თურქეთში...

ქალთა ფეხბურთში დედოვშჩინა მეფობს!

რა ინტრიგებს ხლართავს ჯაფარიძე და როგორ მოიძულეს თბილისელებმა სოფელი გულნარა

— 2006 წლის იანვარში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მივედი და ქალთა ფეხბურთის ხელმძღვანელთან შეხვედრა ვითხოვე. მაია ჯაფარიძე გამაცნეს. მითხრეს, ეს ქალბატონი ფედერაციაში ქალთა ფეხბურთის საქმეებსაც ხელმძღვანელობს და ქალთა ნაკრების მწვრთნელიც არისო. ჯაფარიძეს ვუთხარი, რომ ჩემი ნათესავი გოგონა, რომელიც ჩემს ოჯახშია გაზრდილი, ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობს და იქნებ გასინჯოთ-თქო... ერთ კვირაში ჩამოვიყვანე გულნარა თბილისში სენაკის რაიონის სოფელ ეკიდან. მანამდე თბილისში მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი...

მაშინ თბილისის გუნდს ვარჯიშები ხან იპოდრომზე ჰქონდა, ხან ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე. გოგონებს ბატონი ვოვა (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს) ავარჯიშებდა. თავიდანვე ნათელი იყო, რომ სოფლიდან ჩამოსული ამ 20 წლის გოგოს დონის თავდამსხმელი საქართველოს არ ჰყავდა. ორი თვე ვივარჯიშეთ თბილისში და მერე სახლში დავბრუნდით, რადგან დანარჩენს ჩემი სახსრები აღარ ეყო. არც მე და არც გულნარას თბილისში სახლი არ გვაქვს და ნათესავების ზედმეტად შეწუხებას მოვერიდეთ. მგზავრობის ხარჯები, კვება, ფორმა, ბუცები და უამინდობის პერიოდში დარბაზის ფულიც ჩემს კისერზე გადავიდა...

...მაისში ჯაფარიძემ ისევ თბილისში დაგვიბარა, გვითხრა, საქართველოს პირველი ჩემპიონატი უნდა ჩავატაროთ, „დინამოს“ ქალთა გუნდი ჩამოვაყალიბე და კესო (ასე ეძახიან საქართველოში გულნარას) მჭირდებაო. მაისში ჩავედით თბილისში და დავიწყეთ ვარჯიში „დინამოში“ „ნორჩი დინამოელის“ ბაზაზე, თუმცა ჯაფარიძეს ბატონი ვოვა და გუნდის კაპიტანი ანა პოღოსიანი, რომელიც გულნარას ჩამოსვლის დღიდან გვერდით ედგა და ადაპტაციაში ეხმარებოდა, გაუგდია და ძალიან ცუდი სიტუაცია დაგვხვდა. რამდენიმე გოგონა, რომელიც გუნდის ლიდერობასა და კაპიტნობაზე პრეტენზიას აცხადებდა, თავის მშობლებთან და ჯაფარიძესთან ერთად, რაღაც ინტრიგებს ხლართავდნენ და ყველასგან ამ გოგონების გავლენის ქვეშ მოქცევას მოითხოვდნენ...

გულნარა გულჩათხრობილი გოგოა, სოფელში და-ძმურ გარემოშია გაზრდილი და ასეთ სიტუაციებში საერთოდ ვერ გაერკვია, თუმცა მე მის გვერდით ვიყავი და არავის გავაბედინე, ჩაეთრიათ ინტრიგებში, რომელიც, როგორც მერე გაირკვა, ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს: მაია ჯაფარიძის, როგორც საქართველოში ქალთა ფეხბურთის ერთადერთი მამა-მარჩენალის და ყველაზე კომპეტენტური ადამიანის იმიჯის შექმნას. ის აფრთხილებდა ყველას, ვინც ჯაფარიძის გარშემო არ გაერთიანდება, დაისჯებაო. ჩვენ რომ ამ ინტრიგებში არ გავერიეთ, ამიტომ აითვალწუნა ჯაფარიძემ გულნარა. მიუხედავად ამ სიტუაციისა, მაინც გადავწყვიტე, დავრჩენილიყავით „დინამოში“, რადგან საქართველოსთვის ისტორიული ქალთა პირველი ჩემპიონატი ტარდებოდა და მინდოდა, გულნარას თავი გამოეჩინა. თუმცა ისიც იცოდნენ, რომ არა გულნარა, იმ წელს „დინამოს“ გამარჯვება გაუჭირდებოდა, რადგან მეორე თავდამსხმელი, ანა პოღოსიანი, რომელიც გააგდეს, ბათუმში წავიდა და ის გუნდი ფინალშიც გაიყვანა...

...გულნარას ისეთი სიტუაცია შეუქმნეს გუნდში, რომ ყოველი თამაშის დამთავრებისთანავე სახლში წაყვანას მთხოვდა. გოგონათა ის ჯგუფი და მათი მშობლები, რომელთაც იმ პერიოდში ჯაფარიძე მართავდა, გულნარას ავიწროვებდნენ, აგდებულად ექცეოდნენ და სოფლელს ეძახდნენ. თამაშისას პასსაც კი არ აძლევდნენ და გოლების უმეტესობა გულნარამ მეტოქისგან ართმეული ბურთებით გაიტანა. თუმცა ძალიან დიდი ხვეწნის და ნერვების ფასად, მას ყოველივეს ატანა და ჩემპიონატის ჩამთავრება ვთხოვე...

...გულნარამ 2006 წლის პირველი ჩემპიონატის 5 თამაშში 9 გოლი გაიტანა, 6 საგოლე პასი გააკეთა და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ჯგუფის (3 თამაში, 6 გოლი) შემდეგ პირდაპირ ნახევარფინალი იყო, სადაც „დინამომ“ „ხაშურს“ 3:0 მოუგო — გულნარამ ორი გოლი გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა.

ფინალში კი „დინამომ“ გულნარას ერთადერთი გოლით 1:0 მოუგო „ბათუმს“.

...ფინალის შემდეგ დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა. ცერემონიის დაწყებამდე, საორგანიზაციო კომიტეტს ჯაფარიძემ (რომელიც თავად ხელმძღვანელობდა ამ კომიტეტს) საკუთარი ხელით ჩამოწერილი ფეხბურთელების სია გადასცა. ამ სიაში ერთი ჯილდოც კი არ ერგო გულნარას, საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი კი გადაეცა გულნარას თანაგუნდელ გოგონას, რომელსაც ჩემპიონატის ხუთი მატჩიდან ბოლო სამი ტრავმის გამო არ უთამაშია. ეს ყოველივე მიზნად ისახავდა ერთ რამეს: თუ ჯაფარიძის ინტრიგებს არ აჰყვები, საქართველოში ფეხბურთს ვერ ითამაშებ!

...გულნარამ გაბრაზება ვეღარ დამალა და იქვე განუცხადა ჯაფარიძეს, რომ სანამ ის იქნება ქალთა ფეხბურთის ხელმძღვანელი, საქართველოში ფეხბურთს არ ითამაშებდა...

...მე ვეღარ ვაიძულე გულნარა, საქართველოში ეთამაშა, მით უმეტეს, რომ ერთი თეთრიც არასდროს მიგვიღია ჯაფარიძისგან.

...შეძლებული არ მეთქმის, მაგრამ მინდოდა, გულნარას ტალანტი არ დაკარგულიყო. ცოტა ხანში თურქეთში წამოვედი, თურქულიც ვისწავლე და თურქულ ფეხბურთშიც დავამყარე კავშირები, რაშიც ერთი აქაური ქართველი დამეხმარა და წელიწადნახევრის განმავლობაში უთამაშებლად მყოფი გულნარა პირდაპირ ეკიდან „ტრაპზონსფორში“ მივიყვანე...

ახლა გასაგებია, რატომ აღარ გვეძახის ჯაფარიძე ნაკრებში. ჩემი და გულნარას სახელით ვაცხადებ: ჩვენ სერიოზულად გვეპარება ეჭვი ჯაფარიძის, როგორც მწვრთნელის და როგორც ქალთა ფეხბურთის ხელმძღვანელის კომპეტენციაში, რაზეც მის მიერ „მიღწეული“ სამარცხვინო შედეგებიც მიუთითებს. ჯაფარიძეს რატომღაც სიამოვნებს, რომ რუსები განსაკუთრებულად გვანადგურებენ — გაიხსენეთ, მარცხი რუსეთის ახალგაზრდულ გუნდთან 0:21, შარშან „დინამოს“ მარცხი „როსიანკასთან“ 0:18, თურქეთის საკმაოდ სუსტმა ნაკრებმაც კი 9:0 მოუგო საქართველოს. სხვა დიდი ანგარიშებით წაგებებს ვეღარ ჩამოვთვლი... არც ერთი ფრე და არც ერთი გოლი! ეს შედეგები ქართული ქალთა ფეხბურთის ისტორიაში სამარცხვინო ლაქად დარჩება. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოში ქალთა ფეხბურთს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ გვყავს ნიჭიერი გოგონები, რომელთა გაწვრთნა შეიძლება იმ დონეზე, რომ ევროპაში დასაცინი არ გავხდეთ და გულნარას და სხვებსაც საქართველოს ნაკრების მაისურის ჩაცმა არ რცხვენოდეთ. ჩემი მხრიდან კიდევ ბევრს შევუწყობ ხელს, თუნდაც თურქულ კლუბებში მოხვედრაში.

...რაც შეეხება ქრისტინე შადობას, მას ჯაფარიძე აქამდე სულ ეძახდა ნაკრებში და ახლა რომ არ დაუძახა, ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ ჩემი ჩამოყვანილია ტრაპზონში! სხვა ახსნას ვერ ვუძებნი.

...გულნარა ძალით გააგდეს საქართველოდან, თორემ არსად წასვლას არ აპირებდა. თუმცა შეიძლება, უკეთესიც კია...

კახა შალამბერიძე

უეფას თასი 2007-2008. ფინალი. დღეს

თავი გამანებე, დედა!

100 ათასი უილიამ უოლესი გაზაფრომის ფინალამდეგ

14 მაისი. 22:45. მანჩესტერი. „სიტი ოფ მანჩესტერი"

ზენიტი (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი) — რეინჯერსი (გლაზგო, შოტლანდია)

მოსკოვის ცსკა, „ლოკომოტივი" და ვლადივოსტოკის „ლუჩი" — ამ სამ გუნდთან უნდა ეთამაშა „ზენიტს" 4, 7 და 11 მაისს, მაგრამ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა, რომლის პრეზიდენტიც პეტერბურგელი ვიტალი მუტკოა, სამივე მატჩი გადადო, რათა ნევისპირელები უეფას თასის ფინალისთვის უკეთ მომზადებულიყვნენ.

შოტლანდიური ფეხბურთის შეფებმა კი „რეინჯერსს" შეღავათი არ გუწიეს და პრემიერლიგის კალენდრით გათვალისწინებული ყველა მატჩი ათამაშეს.

ამგვარად, „ჩაფრებმა" 4 მაისიდან 10-ის ჩათვლით, ანუ შვიდ დღეში სამი შეხვედრა გამართეს: „ჰიბერნიანს" უგოლოდ დაუზავდნენ, „მოზერუელს" 1:0 მოუგეს, „დანდი იუნაიტედს" კი 3:1.

„ზენიტმა" კი „ალკმაართან" ერთი ამხანგური მატჩი გაახერხა, რომელიც 2:2 დასრულდა.

„ალკმაარის" მწვრთნელმა ლუის ვან გალმა „დეილი რეკორდთან" ინტერვიუში „რეინჯერსი" დაცვითი ფეხბურთის გამო გაკიცხა: „შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ და ამიტომ კარგს ვერ ვუწოდებ იმას, რასაც „რეინჯერსი" თამაშობს.

როცა დაცვაში გამოიკეტები, თამაში თავისთავად კვდება და ქომაგი მოსაწყენი სანახაობის მომსწრე ხდება. უოლტერ სმიტის გუნდი უფანტაზიოა და ფავორიტად „ზენიტს" მივიჩნევ, თუმც „რეინჯერსმა" იშვიათი მომენტებიდან ერთიც რომ გამოიყენოს და დაწინაურდეს, მერე უკვე მისი დაცვის გავლა ძალიან გართულდება.

ვიცი, თუ რატომ იყენებს „რეინჯერსი" ასეთ ტაქტიკას. როცა კარგად თამაში არ გეხერხება, ძლიერ მეტოქეს შეტევაში ხელი უნდა შეუშალო და სწორედ ამას აკეთებს გლაზგოური გუნდი.

როცა მეკითხებიან, თუ ვინ მოიგებს თასს, ვპასუხობ: ჩემი მეგობარი დიკ ადვოკაატი!"

ვან გალი „ჩაფრებს" ტაქტიკას უწუნებს, მაგრამ სწორედ ამ დაცვითი ფეხბურთით მიაღწიეს გლაზგოელებმა ფინალამდე. ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადართვის შემდეგ გუნდმა რვა მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა: ერთი „პანათინაიკოსისგან" მეთექვსმეტედფინალში და ერთიც „ვერდერისგან" მერვედფინალში.

„რეინჯერსის" ლეგენდამ, ამჟამად უოლტერ სმიტის თანაშემწემ ალისტერ მაკკოისტმა კრიტიკოსებს ასე უპასუხა: „დიდად არ მაღელვებს, თუ რას ამბობენ ჩვენს ტაქტიკაზე. ასეთი საუბრები მხოლოდ მართობს და მეცინება. ცუდად რომ გვეთამაშა, აქამდე ვერ მოვიდოდით და ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რომ გლაზგოში თასით დავბრუნდეთ".

უოლტერ სმიტი: „შემოდგომაზე „ზენიტი" ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ტიტულის მოგების შემდეგ უეფას თასზე გადმოერთო. „ბაიერნთან" მატჩი საამსეზონო ევროთასებზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ამ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ჩვენი მეტოქე მეტად ძლიერია. „ლევერკუზენის" და „ბაიერნის" კარში ოთხ-ოთხი გოლის გატანა მხოლოდ უმაღლესი კლასის გუნდს შეუძლია, თუმც „რეინჯერსსაც" აქვს არსენალში სიურპრიზი და არ გამოვრიცხავ, რომ წინა მატჩებისგან განსხვავებული ტაქტიკით გამოვიყენო.

მართალია, აქამდე შედარებით დაცვით ფეხბურთს ვთამაშობდით, მაგრამ ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ.

სეზონის განმავლობაში ამის გამო საუბრები სულ უფრო და უფრო მატულობდა, არადა ჩემპიონატშიც მუდამ ორი-სამი ფორვარდით ვუტევთ და „სელტიკმა" გატანილი გოლების რაოდენობით ცოტა ხნის წინ გაგვისწრო.

ანტიფეხბურთის თამაში დაგვწამეს და თუ ასეა, გეკითხებით, რატომ ვერ მოგვიგეს იმ გუნდებმა, რომლებსაც უკეთესობაზე აქვთ პრეტენზია, შეტევაში მაგრები არიან და ჩვენზე მეტი გოლი გააქვთ?

ფავორიტად ჩვენ არ გვთვლიან და ეს არც მიკვირს. აქამდე ისე მოვედით, რომ არცერთ ეტაპზე ფავორიტად არ მიგვიჩნევდნენ.

არ დაგავიწყდეთ ერთიც — მეთექვსმეტედფინალიდან მოყოლებული პირველი მატჩები შინ გვქონდა და მაინც მოვახერხეთ მეტოქეების დამარცხება. ასე რომ, „რეინჯერსი" ფინალში შემთხვევით არ გასულა.

დიკ ადვოკაატი 7 მაისს ვნახე, როცა „მოზერუელთან" ჩვენს მატჩს დაესწრო. ნახევარი საათის განმავლობაში ვისაუბრეთ. რაღაცები კი ჩაინიშნა, მაგრამ არა მგონია, ფინალში გამოადგეს".

„რეინჯერსს" ტრავმირებული ჰყავს ნახევარმცველი კევინ ტომპსონი და თუ სადღეისოდ ვერ გამოკეთდა, მის ნაცვლად ლი მაკკალოხი, ჩარლი ადამი ან ბრაჰიმ ჰემდანი ითამაშებს.

ფორვარდი დანიელ კუზენი ფინალს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

ლუკა ტონისთან ერთად უეფას თასის მთავარმეგოლე პაველ პოგრებნიაკიც დისკვალიფიცირებულია. მან ათი გოლი გაიტანა და „ზენიტისთვის" მისი გამოკლება დიდი დანაკლისია, რომელსაც ანდრეი არშავინი შეავსებს.

„პოგრებნიაკმა უეფას თასზე საუცხოოდ ითამაშა და სამწუხაროა, რომ დაგვაკლდება. ეს ცუდია, მაგრამ ტრაგედიას ნუ შევქმნით — განაცხადა დიკ ადვოკაატმა — ამ გუნდში შეუცვლელი არავინაა. ფინალამდეც არაერთ მატჩში მოვისაკლისეთ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები, მაგრამ აქამდე მაინც მოვედით. ზოგადად არ მიყვარს სათითაო ფეხბურთელზე საუბარი, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც ვერ ითამაშებენ. „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ ბიჭებს ვუთხარი, რომ თუ ფინალშიც ასევე თავდაუზოგავად იბრძოლებენ, თასის მოგების კარგი შანსი გვექნება".

დიკ ადვოკაატი ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა „რეინჯერსში" და ორჯერ (1999, 2000) შოტლანდიის ჩემპიონატი მოიგო. „ზენიტიც", სსრკ-ის დაშლის შემდეგ პირველად, მის ხელში გახდა რუსეთის ჩემპიონი და გაზპრომის ფულით წელგამართული, აგერ, უეფას თასის ფინალშიც გავიდა.

ზენიტელთა კაპიტანმა ანატოლი ტიმოშჩუკმა იცის რეცეპტი, რომლითაც „რეინჯერსის" დაბურული დაცვა უნდა გაიაროს.

„ევროპული გრანდები დავამარცხეთ და დავამტკიცეთ, რომ ფინალში თამაშს ვიმსახურებთ.

„რეინჯერსის" დაცვის გავლა იოლი არაა, მაგრამ არც შეუძლებელი. ასეთ გუნდებთან მეტი ორიგინალურობა და ინდივიდუალური ოსტატობაა საჭირო.

მსგავს მეტოქეს აქამდე არ შევხვედრივართ და ვნახავთ, რა გამოგვივა. ბევრი გოლი ვერ გააქვთ, მაგრამ არც უშვებენ. „ფიორენტინასთან" საპასუხო მატჩში გმირულად იბრძოლეს და იტალიელებმა, უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, 120 წუთში გოლი ვერ გაუტანეს" — თქვა „შახტარიდან" 20 მილიონ დოლარად ნაყიდმა ნახევარმცველმა.

„რეინჯერსის" ქომაგებს 19 ათასი ბილეთი გამოუყვეს, მაგრამ მანჩესტერში, რომელიც გლაზგოდან 350 კილომეტრშია, დაახლოებით 100 ათასი გულშემატკივარი აპირებს ჩასვლას.

რეინჯერსელმა ლი მაკკალოხმა თქვა, ჩემი ბილეთები დედაჩემს მივეცი და ვუთხარი, თავი დამანებეთ-მეთქი. „ყოფილი კლასელები, მასწავლებლები და მწვრთნელები მირეკავენ და ბილეთებს მთხოვენ. ჰოლ ჯუელმა, რომელიც „უიგანში" მწვრთნიდა, დამირეკა, ეგებ რამდენიმე ბილეთი ჩემთვისაც ნახოო" — გაოცებული იყო მაკკალოხი, ვისაც „უიგანის" მაისურით „სიტის" სტადიონზე გოლი გაუტანია და იმედოვნებს, რომ დღესაც მოახერხებს.

ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა გარი სატკლიფმა „ზენიტის" ფანები გააფრთხილა, რომ რასისტული გამოხდომები კანონით დაისჯება და შავეკანიანების შემგინებლები შეიძლება ციხეში აღმოჩნდნენ.

„მარსელთან" საშინაო მატჩისას, ზენიტელმა ქომაგებმა სტუმართა ფეხბურთელები შეურაცხყვეს, მაიმუნები უწოდეს და ამის გამო უეფამ კლუბი ათი ათასი ევროთი დააჯარიმა.

ნევისპირული გუნდი ერთადერთია რუსეთის ჩემპიონატში, შავკანიანი მოთამაშეები რომ არ ჰყოლია.

„მინდოდა ვინმეს ყიდვა, მაგრამ მითხრეს, რომ ქომაგებს არ მოეწონებოდათ და თავი შევიკავე — თქვა დიკ ადვოკაატმა — მართალი გითხრათ, არ მესმის, თუ რატომ არიან ასე აგრესიულები აქაურები შავკანიანი ფეხბურთელების მიმართ".

ვაჟა ხუციშვილი



ვისი იქნება ეს ჯილდო: დიკ ადვოკაატისა თუ უოლტერ სმიტის

უეფას თასი 2007-2008. ფინალი. დღეს

ზენიტი (რუსეთი)

16 — ვიაჩესლავ მალაფეევი, 29 წლის. ძირითად შემადგენლობაში 2001 წლიდანაა. 2003-დან რუსეთის ნაკრებშიც უხმობენ.

4 — ივიცა კრიჟანაკი (30). ხორვატი მცველი, რომელიც „გროცლინიდან“ სამი წლის წინ შეიძინეს, სადაც 2004-ში ლიგის საუკეთესო უცხოელად დაასახელეს.

25 — ფერნანდო რიკსენი (31). ჰოლანდიელი მცველ-ნახევარმცველი. „რეინჯერსში“ ექვსი სეზონი (2000-2006) გაატარა და 256 მატჩში 20 გოლი გაიტანა.

15 — რომან შირკოვი (26). „ლევერკუზენთან“ სტუმრად მოგებულ (4:1) შეხვედრაში ცენტრალურ მცველად ითამაშა და „ბაირენთანაც“, რომელსაც „ზენიტმა“ 4:0 მოუგო, ძირითად შემადგენლობაში იყო. დიკ ადვოკაატის გუნდში 2007 წელს „ხიმკიდან“ გადავიდა.

22 — ალექსანდრ ანიუკოვი (25). ხუთი სეზონი გაატარა სამარის „კრილია სოვეტოვში“ და 2005 წელს „ზენიტმა“ იყიდა. ევრო 2004-ზე რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში იყო.

44 — ანატოლი ტიმოშჩუკი (29). საყრდენი ნახევარმცველი. „ზენიტის“ უძვირფასესი ფეხბურთელი, კაპიტანი და უკრაინის ნაკრების ლიდერი. მის სანაცვლოდ „შახტარს“ შარშან თებერვალში 20 მილიონი დოლარი გადაუხადეს და გაამართლა.

18 — კონსტანტინ ზირიანოვი (30). მეგოლე ნახევარმცველი, რომელიც 2007 წელს რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მოსკოვის „ტორპედოში“ შვიდი სეზონი ითამაშა და „ზენიტში“ შარშან გადავიდა.

27 — იგორ დენისოვი (23). დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. „ზენიტის“ აღზრდილი შემტევი ნახევარმცველი. 86 მატჩში 17 გოლი გაიტანა.

10 — ანდრეი არშავინი (26). კარიერა მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე დაიწყო და მეგოლედ იქცა. მან უნდა შეცვალოს დღეს პაველ პოგრებნიაკი. „ბაიერნთან“ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა.

9 — ფათიჰ თექე (30). „ტრაბზონსფორში“ გატარებული სამი სეზონის შემდეგ (77 გოლი), თურქეთის ნაკრების ფორვარდი 2006 წელს „ზენიტში“ გადავიდა და 36 მატჩში 13 გოლი გაიტანა.

რეინჯერსი (შოტლანდია)

13 — ნილ ალექსანდერი (30). ტრავმირებული ალან მაკგრეგორის შემცვლელია. უეფას თასზე „ფიორენტინასთან“ პენალტების სერიაში იყოჩაღა. „რეინჯერსში“ ამ წლის იანვარში „იფსვიჩიდან“ გადავიდა.

3 — დევიდ ვეირი (37). შოტლანდიელი მცველი. რვა სეზონი (1999-2007) შეალია „ევერტონს“ და „რეინჯერსმა“ შარშან წაიყვანა.

5 — საშა პაპჩი (28). ბოსნიელი ლეგიონერი, რომელმაც შოტლანდიაში გადასვლამდე (2006) ხუთი წელი „კერნტენში“ და „აუსტრიაში“ გაატარა. ცენტრალური მცველია და მემარცხენეობაც ეხერხება.

21 — კირკ ბროდფუტი (23). დაცვის ცენტრში და ორივე ფლანგზე თამაში შეუძლია. „რეინჯერსმა“ 2007-ში „სენტ მირენიდან“ იყიდა და მარჯვენა მცველად ათამაშებს.

24 — კარლოს კუელიარი (26). ესპანელმა „ნუმანსია“ და „ოსასუნა“ მოიარა და შარშან „ჩაფარი“ გახდა. პირველივე სეზონში ფანების ჯილად იქცა. შოტლანდიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთოდ დაასახელეს.

6 — ბარი ფერგიუსონი (30). „რეინჯერსის“ და შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი. შემტევი ნახევარმცველი და გუნდის მთავარი ფეხბურთელი. ცხრა წელი (1994-2003) ითამაშა „ჩაფრებში“, მერე „ბლეჭერნში“ წავიდა და 2005-ში ისევ დაბრუნდა. 264 მატჩში 42 გოლი გაიტანა.

28 — სტივენ უიტეკერი (23). მარჯვენა ნახევარმცველი. „რეინჯერსში“ შარშან „ჰიბერნიანიდან“ გადავიდა, სადაც ექვსი სეზონი გაატარა.

7 — ბრაჰიმ ჰედანი (30). საფრანგეთში დაბადებული ალჟირელი. თითქმის ათი წელი ფრანგულ გუნდებს შეალია. 2005 წლიდან „რეინჯერსშია“.

8 — კევინ ტომსონი (23). ცენტრალური ნახევარმცველი. უიტეკერის თანაგუნდელი იყო „ჰიბერნიანში“ და მასთან ერთად გადაბარგდა „რეინჯერსში“.

10 — ნაჩო ნოვო (29). ესპანელი ფორვარდი 2001 წლიდან შოტლანდიაშია. „რეით როვერსიდან“ დაიწყო და 2004-ში „დანდის“ გავლით „რეინჯერსში“ აღმოჩნდა, სადაც 112 მატჩში 36 გოლი გაიტანა.

19 — ჟან-კლოდ დარშევილი (32). „რენი“, „ნოტინგემი“, „ლორიანი“ და „ბორდო“ — ეს კლუბები მოიარა ფრანგმა და ერთი წლის წინ „რეინჯერსის“ ფეხბურთელი გახდა.



მსაჯი

ფინალის მთავარი არბიტრი 44 წლის შვედი პეტერ ფრეიდფელდტი იქნება, რომელიც ცოტა ხნის წინ იყო ინგლისში „ლივერპული“ — „არსენალის“ მეოთხედფინალურ მატჩზე. იგივე თანამსაჯები დაეხმარებიან, ვინც ლივერპულში ახლდა — შტეფან ვიტბერგი და ჰენრიკ ანდრენი.

ფრეიდფელდტი ესკილსტუნში ცხოვრობს და პროფესიით სტადიონების მენეჯერია. სტვენა 90-იან წლებში დაიწყო და შვედეთის უმაღლესი ლიგის მატჩი პირველად 1997-ში იმსაჯა. ახლა მის ანგარიშზე უკვე ორასზე მეტი მატჩია.

2001 წლის დასაწყისში ფიფას არბიტრი გახდა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრა პირველად 2003-ში ანდეს, როცა კიევის „დინამომ“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ უმასპინძლა.

2005-ის იანვრიდან უეფას ელიტარულ მსაჯთა რიცხვშია და მსოფლიოს ჩემპიონატის ექვს შესარჩევ მატჩს გაუძღვა. იმავე წლის შემოდგომიდან მუდმივად ნიშნავენ ჩემპიონთა ლიგის თამაშებზე.

ერთადერთი ფინალი 2006-ის აპრილში სკანდინავიის „როიალ ლიგაში“ იმსაჯა „კოპენჰაგენსა“ და „ლილესტრიომს“ შორის.

ჰყავს ცოლ-შვილი და თავისუფალ დროს გოლფით ერთობა.

ზენიტის გზა ფინალამდე

უეფას თასი

II საკვალიფიკაციო ეტაპი

მორავცე (სლოვაკეთი)	3:0, 2:0

I ეტაპი

სტანდარდი (ბელგია)	3:0, 1:1

ჯგუფური ეტაპი

ალკმაარი (ჰოლანდია)	1:1
ლარისა (საბერძნეთი)	3:2
ნიურნბერგი (გერმანია)	2:2
ევერტონი (ინგლისი)	0:1

1/16 ფინალი

ვილიარეალი (ესპანეთი)	1:0, 1:2

1/8 ფინალი

მარსელი (საფრანგეთი)	1:3, 2:0

1/4 ფინალი

ლევერკუზენი (გერმანია)	4:1, 0:1

1/2 ფინალი

ბაიერნი (გერმანია)	1:1, 4:0

რეინჯერსის გზა ფინალამდე

ჩემპიონთა ლიგა

II საკვალიფიკაციო ეტაპი

ზეტა (ჩერნოგორია)	2:0, 1:0

III საკვალიფიკაციო ეტაპი

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)	1:0, 0:0

ჯგუფური ეტაპი

შტუტგარტი (გერმანია)	2:1, 2:3
ლიონი (საფრანგეთი)	3:0, 0:3
ბარსელონა (ესპანეთი)	0:0, 0:2

უეფას თასი

1/16 ფინალი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	0:0, 1:1

1/8 ფინალი

ვერდერი (გერმანია)	2:0, 0:1

1/4 ფინალი

სპორტინგი (პორტუგალია)	0:0, 2:0

1/2 ფინალი

ფიორენტინა (იტალია)	0:0, 0:0(პენ.4:2)

უეფას თასის ყველა ფინალი

1958 -- ლონდონი (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი) ---------- 2:2, 0:6
1960 -- ბარსელონა (ესპანეთი) — ბირმინგემი (ინგლისი) ---------- 1:1, 4:1
1961 -- რომა (იტალია) — ბირმინგემი (ინგლისი) ---------- 2:0, 2:2
1962 -- ვალენსია (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) ---------- 6:2, 1:1
1963 -- ვალენსია (ესპანეთი) — დინამო (იუგოსლავია) ---------- 2:0, 2:1
1964 -- სარაგოსა (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) ---------- 2:1
1965 -- ფერენცვაროში (უნგრეთი) — იუვენტუსი (იტალია) ---------- 1:0
1966 -- ბარსელონა (ესპანეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) ---------- 0:1, 4:2
1967 -- დინამო (იუგოსლავია) — ლიდსი (ინგლისი) ---------- 2:0, 0:0
1968 -- ლიდსი (ინგლისი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) ---------- 1:0, 0:0
1969 -- ნიუკასლი (ინგლისი) — უიპეშტი (უნგრეთი) ---------- 3:0, 3:2
1970 -- ანდერლეხტი (ბელგია) — არსენალი (ინგლისი) ---------- 3:1, 0:3
1971 -- იუვენტუსი (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) ---------- 2:2, 1:1
1972 -- ვულვერჰემპტონი (ინგლისი) — ტოტენჰემი (ინგლისი) ---------- 1:2, 1:1
1973 -- ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ) ---------- 3:0, 0:2
1974 -- ტოტენჰემი (ინგლისი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) ---------- 2:2, 0:2
1975 -- მიონხენგლადბახი (გფრ) — ტვენტე (ჰოლანდია) ---------- 0:0, 5:1
1976 -- ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) ---------- 3:2, 1:1
1977 -- იუვენტუსი (იტალია) — ბილბაო (ესპანეთი) ---------- 1:0, 1:2
1978 -- ბასტია (საფრანგეთი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) ---------- 0:0, 0:3
1979 -- ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მიონხენგლადბახი (გფრ) ---------- 1:1, 0:1
1980 -- მიონხენგლადბახი (გფრ) — აინტრახტი (გფრ) ---------- 3:2, 0:1
1981 -- იფსვიჩი (ინგლისი) — ალკმაარი (ჰოლანდია) ---------- 3:0, 2:4
1982 -- გიოტეგორგი (შვედეთი) — ჰამბურგი (გფრ) ---------- 1:0, 3:0
1983 -- ანდერლეხტი (ბელგია) — ბენფიკა (პორტუგალია) ---------- 1:0, 1:1
1984 -- ანდერლეხტი (ბელგია) — ტოტენჰემი (ინგლისი) ---------- 1:1, 1:1(პენ.3:4)
1985 -- ვიდეოტონი (უნგრეთი) — რეალი (ესპანეთი) ---------- 0:3, 1:0
1986 -- რეალი (ესპანეთი) — კიოლნი (გფრ) ---------- 5:1, 0:2
1987 -- გიოტეგორგი (შვედეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) ---------- 1:0, 1:1
1988 -- ესპანიოლი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გფრ) ---------- 3:0, 0:3(პენ.2:3)
1989 -- ნაპოლი (იტალია) — შტუტგარტი (გფრ) ---------- 2:1, 3:3
1990 -- იუვენტუსი (იტალია) — ფიორენტინა (იტალია) ---------- 3:1, 0:0
1991 -- ინტერი (იტალია) — რომა (იტალია) ---------- 2:0, 0:1
1992 -- ტორინო (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) ---------- 2:2, 0:0
1993 -- დორტმუნდი (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) ---------- 1:3, 0:3
1994 -- ზალცბურგი (ავსტრია) — ინტერი (იტალია) ---------- 0:1, 0:1
1995 -- პარმა (იტალია) — იუვენტუსი (იტალია) ---------- 1:0, 1:1
1996 -- ბაიერნი (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) ---------- 2:0, 3:1
1997 -- შალკე (გერმანია) — ინტერი (იტალია) ---------- 1:0, 0:1(პენ.4:1)
1998 -- ინტერი (იტალია) — ლაციო (იტალია) ---------- 3:0
1999 -- პარმა (იტალია) — მარსელი (საფრანგეთი) ---------- 3:0
2000 -- გალათასარაი (თურქეთი) — არსენალი (ინგლისი) ---------- 0:0(პენ.4:1)
2001 -- ლივერპული (ინგლისი) — ალავესი (ესპანეთი) ---------- 5:4დ.დ.(4:4)
2002 -- ფეიენოორდი (ჰოლანდია) — დორტმუნდი (გერმანია) ---------- 3:2
2003 -- პორტუ (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია) ---------- 3:2დ.დ.(2:2)
2004 -- ვალენსია (ესპანეთი) — მარსელი (საფრანგეთი) ---------- 2:0
2005 -- სპორტინგი (პორტუგალია) — ცსკა (რუსეთი) ---------- 1:3
2006 -- სევილია (ესპანეთი) — მიდლსბრო (ინგლისი) ---------- 4:0
2007 -- ესპანიოლი (ესპანეთი) — სევილია (ესპანეთი) ---------- 2:2(პენ.1:3)

საშას დიდი პროექტი

ჰარი რედნაპი და ალექსანდრ გაიდამაკი

ქვემოთ „ობზერვერის“ კორესპონდენტის, ჯეიმი ჯექსონის წერილს, უფრო სწორად კი, ინგლისურ სტილში შესრულებულ ინტერვიუს გთავაზობთ. ჯექსონის რესპონდენტი „პორტსმუთის“ მეპატრონე ალექსანდრ გაიდამაკი გახლავთ

„დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ ათი წლის წინ, პრემიერლიგის ერთი კლუბის მეპატრონის ვინაობასაც კი ვერ დამისახელებდით. დღეს ეს ხალხი პირველ რიგშია გამოფენილი — ამბობს ალექსანდრ, იგივე საშა გაიდამაკი, ერთ-ერთი უცხოელთაგანი, რომელიც მიიჩნევს, რომ ინგლისურ ფეხბურთში ჩადებული ფულის გამო ხშირად უსამართლოდ ადანაშაულებენ.

„ყველაფერზე პასუხისმგებლობას ჩვენ გვკიდებენ. რატომ არ თამაშობს ინგლისის ნაკრები კარგად? იმიტომ, რომ ინგლისური კლუბები უცხოელებმა იყიდეს და ისინი ამ კლუბებში უცხოელ ფეხბურთელებს ათამაშებენ. მაპატიეთ, მაგრამ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა ასაკი 18-დან 25 წლამდე მერყეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ თამაში ათი წლის წინ უნდა დაეწყოთ, პირველი უცხოელი მეპატრონე კი პრემიერლიგაში ხუთი წლის წინ მოვიდა. ჰოდა, ძალიან გთხოვთ, თავი დაგვანებოთ. ნუთუ ფესვებიდანვე ჩვენ უნდა გაგვეწია ყველაფრის ორგანიზება? ნუთუ ყველაფერი ჩვენ უნდა მოგვეწესრიგებინა და ყველაფრისთვის ჩვენ უნდა შეგვეწყო ხელი?“

იქნებ, საკითხი უბრალოდ ასე უნდა დავაყენოთ: რას აკეთებს მეპატრონე კლუბისთვის მისი ეროვნებისა და წარმომავლობის მიუხედავად?

„აქ სურათი იმ ქუჩას ჰგავს, რომელზეც ორმხრივი მოძრაობაა. შეუძლებელია, პრემიერლიგის ტელეტრანსლაციათა უცხოეთში გაყიდვას ეშურებოდე და იმავდროულად გეგონოს, რომ ეს უცხოელები მასში მონაწილეობის მისაღებად არ ჩამოვლენ. გარდა ამისა, აქ თავისუფალი ბაზრის პრინციპი მოქმედებს. მაგალითად, ამა თუ იმ კლუბის ყიდვა ინგლისელმა ან სხვა ბრიტანელმა რომ მოისურვოს, წინააღმდეგობა ხომ არ შეხვდება? ეს ხომ აკრძალული არ არის? თან, რაღა მყიდველ უცხოელებს ადანაშაულებთ, ის ინგლისელები დაადანაშაულეთ, რომელთაც ეს კლუბები ამ უცხოელებს მიჰყიდეს.

თუ გახსოვთ, თავად უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი ფეხბურთელობისას იტალიაში თამაშობდა. ასე აეწყო მისი ცხოვრება და მეც ამის საწინააღმდეგო არაფერი მქონია, მაგრამ დღეს რა საჭიროა ინგლისური ლიგის კრიტიკა იმ მოტივით, რომ აქ უამრავი უცხოელი ფეხბურთელი მოგროვდა და ეს ხალხი აქ დიდი ხელფასის საშოვნელად არის ჩამოსული? ნათქვამია, სანამ მსოფლიოს სანახავად წახვიდოდე, საკუთარ ბაღს შეხედეო“.

გაიდამაკი მშვიდად, მაგრამ შთამბეჭდავად ლაპარაკობს. ჩვენ „ფრეტონ პარკის“ გაპრიალებულ ლოჟაში ვსხედვართ. „პორტსმუთმა“ „ბლექბერნთან“ სულ რამდენიმე წუთის წინ წააგო 0:1 — წარმატებულ სეზონში ეს ერთ-ერთი იშვიათ დამარცხებათაგანია. ლოჟაში მისგან რამდენიმე სკამის იქით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იჯდა, ფაბიო კაელო. იტალიელი თამაშს ნაკრების პოტენციურ მოთამაშეთა შერჩევის მიზნით ესწრებოდა. ასეთი „ბლექბერნს“ დევიდ ბენტლი ჰყავდა, მაგრამ „პორტსმუთში“ ერთბაშად სამი იყო — გლენ ჯონსონი, სოლ კემპბელი და ჯერმეინ დეფო. მეკარე დევიდ ჯეიმსს კუნთი რომ არ გაეწყვიტა, მეოთხე იქნებოდა.

„პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელთა მხოლოდ 38 პროცენტია ინგლისელი“ — ამბობს კაპელო, ჩვენ კი დავძენთ, ამ მხრივ „პორტსმუთს“ ჩინებულად აქვს საქმე. ამ გუნდში იმდენივე ინგლისელია, რამდენიც „მანჩესტერ იუნაიტედში“, სამით მეტი, ვიდრე „არსენალში“ და ორით მეტი ვიდრე „ლივერპულში“. გასულ ზაფხულს ჰარი რედნაპს მერსისაიდელთაგან პიტერ კრაუჩი რომ ეყიდა, „პორტსმუთში“ ინგლისელთა რაოდენობა ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ „ჩელსისას“ გაუტოლდებოდა.

გაიდამაკი „პორტსმუთში“ 2006 წლის იანვარში მივიდა. ამ გუნდის ფანები ხუთ ინგლისელ ფეხბურთელს უყურებდნენ, მაგრამ ისინი სასაცილომდე სუსტები გახლდნენ. მათი ამოცანა რამენაირად ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო, სტატისტიკა კი მეტყველებდა, რომ „პორტსმუთიდან“ ნაკრებში ფეხბურთელი ბოლოს 50 წლის წინ გაეწვიათ.

კაცმა რომ თქვას, მარკ ჰეიტლი კი გამოიძახეს ეროვნულ გუნდში 1984 წელს, მაგრამ გამოძახება იმ დროს დაემთხვა, როდესაც მან „პორტსმუთის“ შემადგენლობაში ბოლო თამაში ჩაატარა და „მილანის“ გზას გაუდგა. ერთი სიტყვით, ბოლო, ვინც „პორტსმუთიდან“ ნაკრებში იხმეს, მარცხენა მცველი ჯიმი დიკინსონი გახლდათ. მან 1956 წელს ეროვნულ გუნდში თავისი 48-ე შეხვედრა ითამაშა, დღეს კი მისი ფოტო ზემოხსენებული ლოჟისკენ მიმავალ მოკლე დერეფანს ამშვენებს.

„მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჯეიმსი, დეფო, კემპბელი და ჯონსონი „პორტსმუთში“ გადმოსვლის მომენტისთვის ნაკრებში არ თამაშობდნენ — ამბობს გაიდამაკი — ისინი აქედან გამოიძახეს, იმიტომ რომ თავად არიან კარგი ფეხბურთელები და ჩინებული მწვრთნელი ჰყავთ“.

სხვათა შორის, ჯეიმსი მოედანზე რომ ყოფილიყო, „ბლექბერნთან“ ხსენებული თამაშის დროს „პორტსმუთის“ შემადგენლობაში მოედანზე მხოლოდ ნაკრების ფეხბურთელები იქნებოდნენ. და კიდევ, აი, როგორ შეიცვალა ბოლო წლებში ეს გუნდი: ჯეიმსი მოედანზე რომ ყოფილიყო, „პორტსმუთის“ შემადგენლობაში ყველა ფერადკანიანი იქნებოდა.

„არ ვიცი, ორნახევარი წლის წინ აქ ნაკრების რამდენი წევრი იყო, — ამბობს გაიდამაკი და ამით ცდილობს, შეაქოს რედნაპის პოლიტიკა, რომელიც კარგი ინგლისელი ფეხბურთელების კარგ უცხოელებთან თანაბრად შეზავებას გულისხმობს — სხვადასხვა ნაკრების მოთამაშეებმა ჩვენს გუნდს დონე აუმაღლეს. ახლა სხვა საფეხურზე ვართ“.

„პორტსმუთი“ 1949 და 1950 წლებში ზედიზედ გახდა ინგლისის ჩემპიონი, მას მერე კი წარმატებული სეზონი არ ჰქონია. სწორედ წლევანდელი იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში საუკეთესო.

საინტერესო ის არის, რომ კევინ კიგანისგან განსხვავებით, რომელიც ამბობს, რომ „ნიუკასლ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ოთხ უძლიერეს გუნდს კონკურენციას ვერაფრით გაუწევს, გაიდამაკისთვის წინსვლას საზღვარი არ აქვს:

„სხვა მიზანი არ მაქვს გარდა ერთისა — მინდა საუკეთესო ვიყო“

გაიდამაკის ხელში „პორტსმუთმა“ გვარიანი პროგრესი განიცადა. ძველი სტადიონიდან რამდენიმე კილომეტრში კლუბი ახალ, 36-ათასიან არენას აშენებს. სხვათა შორის, ამ სტადიონს აშენებს Herzog and De Meuron, ანუ არქიტექტორები, რომელთაც პეკინის ოლიმპიადისთვის ააშენეს მთავარი სარბიელი.

„Herzog and De Meuron-ი თითო ქვეყანაში თითო ნაგებობას აკეთებს — ამაყობს გაიდამაკი — რეალისტურად თუ შევხედავთ, 2011 წელს უკვე უნდა ვითამაშოთ იქ ჩვენი პირველი შეხვედრა. კიდევ, ახალი საწვრთნელი ცენტრის აშენებას ვაპირებთ, რომელიც „არსენალის“ ბაზის მიხედვით იქნება ნაანგარიშები. ეს დღეს საუკეთესო ვარიანტია“.

ალექსანდრ გაიდამაკი 32 წლისაა. რუსი ემიგრანტის, მილიარდერ არკადი გაიდამაკის შვილი პარიზში დაიბადა და 16 წლამდე „პარი სენ-ჟერმენის“ „გარემოში“ იზრდებოდა, მაგრამ... „მარსელს“ ქომაგობდა. 19 წლისამ კი ბრიტანეთს მიაშურა. სკოლაში ეკონომიკური განათლება მიიღო და თავიდან საბროკერო საქმეს მისდია.

გაიდამაკს დღეს ისრაელის პასპორტი აქვს. ჯარშიც კი იმსახურა. ჰყავს გერმანელი მეუღლე და ვაჟი. ბიზნესის საწარმოებლად ძირითადად ლონდონსა და მოსკოვს შორის მოძრაობს. კომპანიას, რომელსაც ხელმძღვანელობს, 30 ოფისი და 35 ათასი კლიენტი ჰყავს. თავს შინაურულად ინგლისში გრძნობს, ამბობს, ინგლისური კულტურა ფრანგულზე უფრო გახსნილიაო. პრემიერლიგისადმი ინტერესი კი, აი, რატომ გაუღვივდა:

„გეტყვით, რაც მოხდა — ამბობს მილიარდერის ვაჟი — პრემიერლიგამ მსოფლიო მასშტაბები შეიძინა და იცით, რატომ? იმიტომ, რომ გადამწყვეტი როლი „მანჩესტერ იუნაიტედმა“, ალექს ფერგიუსონმა და ერიკ კანტონამ ითამაშეს. კანტონას „კუნგ ფუ“ (მაყურებელს ტრიბუნაზე რომ აუვარდა) კი გადამწყვეტი გამოდგა.“

და, რა ბედი ელის „პორტსმუთს“?

გაიდამაკი ამბობს: „მომდევნო სეზონიდან ჩვენზე ზეწოლა გაიზრდება. შესაბამისად, ჩვენც მოგვიწევს ახალი ფეხბურთელების შემატება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. თუ განვვითარდებით, მწვრთნელი, ბუნებრივია, შემადგენლობის უფრო მეტად გაძლიერებასაც მომთხოვს და მეც, როგორც მეპატრონემ, საამისოდ სახსრები უნდა გამოვნახო“.

პაპუნა კედია

ჩელსის სამიზნეზე ფერნანდო ტორესია

რომან აბრამოვიჩმა ფერნანდო ტორესის ყიდვა ჩაიფიქრა. „რადიო მარკას“ ცნობით, „ჩელსი“ მზადაა, „ლივერპულის“ ესპანელ მოიერიშეში 50 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა „ენფილდის“ კლუბი უარზეა — „წითლებს“ მეგოლე ფერნანდოსთან განშორება არ უნდათ.

მადრიდის „ატლეტიკოს“ ექსკაპიტანი ინგლისში იქაურ გულშემატკივართა კერპად და რაფაელ ბენიტესის „ლივერპულის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელად იქცა. „ელ ნინიო“ მეტოქის მეკარეთა ნამდვილი რისხვაა. ამასწინათ მან თავის დროზე რუუდ ვან ნისტელროის მიერ დამყარებული რეკორდი დაამხო და 24 გოლით პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტ ბომბარდირად დასახელდა.

ცხადია, ესპანელი ფორვარდის სიჩაუქე მის ფასზეც მოქმედებს. „ლივერპულმა“ ფერნანდო ტორესი „ატლეტიკოსგან“ 36 მილიონ ევროდ იყიდა, ახლა კი დიდსაფეხბურთო სატრანსფერო ბაზარზე „ელ ნინიოს“ 50 მილიონ ევროდ აფასებენ.

„წითლებს“ ყველაზე ნაკლებად ფერნანდოს გასხვისება სურთ, თუმცა კლუბს ვალები აქვს და 40 მილიონი ევროს გადახდაც ერთი წლის განმავლობაში მოუწევს. თუ „ლივერპულმა“ ბანკის ვალები ვერ გაისტუმრა, იძულებული იქნება, ტორესი და რაიან ბაბელი გასაყიდად გაიმეტოს.

„თაიმსის“ ცნობით კი, აბრამოვიჩი მარტო 50 მილიონზე არ გაჩერდება. „ელ ნინიოს“ სავარაუდო ტრანსფერი „ჩელსის“ მწვრთნელმა ავრაამ გრანტმაც მოიწონა, რომან არკადიევიჩი კი „წითებზე“ უფრო ფულადი იერიშის მიტანას აპირებს.

ლადო ხოფერია

სერისა და ლოთების გარეშე

ალექს ფერგიუსონი და უეინ რუნი

უეინ რუნიმ და კოლინ მაკლაფლინმა სერ ალექს ფერგიუსონი სათადარიგოთა საკმზე დასვეს — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის ქორწილი ლეგენდარული მწვრთნელის გარეშე ჩაივლის.

ინგლისური გაზეთები მსუბუქად უმადურობაზეც მიგვანიშნებენ. ფერგიუსონი რომ არა, რუნი ასეთი ტიტულოვანი ფეხბურთელი ვერ იქნებოდაო, წერენ ისინი და საზოგადოებას ახსენებენ, რომ სერ ალექსმა „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა და დიდი შანსია, ტიტულის მფლობელიც გახადოს. მერედა, ამასწინათ, ფერგიმ რუნის საჯაროდ გაუმახვილა ყურადღება მყარი ოჯახის აუცილებლობაზე, დამოძღვრა, დალოცა, ვარსკვლავმა კი...

იცით, რა თქვა რუნის ერთ-ერთმა მეგობარმა?

„ქორწილში შეფი რომ დაგესწროს, თავს უხერხულად იგრძნობ. უეინი და კოლინი ფიქრობენ, რომ თანამშრომლების დაპატიჟებას ახლობლების შეკრება სჯობს“.

ცნობისათვის: ფერგი იყო ფილ ნევილისა და რუუდ ვან ნისტელროის ქორწილებში, დევიდ ბექემისა კი, მიუხედავად იმისა, რომ დაპატიჟუბელი გახლდათ, უარყო.

ადრეც გითხარით, რომ რუნი და მისი საცოლე ერთგვარ შოუ-ქორწილს აპირებენ, „მანჩესტერის“ შეფი კი, როგორც გაირკვა, ამ სანახაობას ვერ დაესწრება. სხვათა შორის, ინგლისური ტაბლოიდებისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ სანახაობას ვერც საცოლის რამდენიმე ახლო ნათესავი დაესწრება, ვინაიდან ამ ხალხს სმა და ღრეობა ყვარებიათ, კოლინ მაკლაფლინს კი სურს, ყველაფერი დახვეწილად ჩატარდეს.

პაპუნა კედია

დანიელ გუისაზე მონადირე კლუბებს „ვალენსიაც“ შეუერთდა. „ღამურათა“ პატრონი ხუან სანჩესი გაისად გუნდში ცვლილებებს გეგმავს და „მალიორკას“ ფორვარდისთვის ახალი სპორტული პროექტიც, სავარაუდოდ, „ვალენსიას“ მაისურას მორგებით დაიწყება.

გუისამ კუნძულელთა გუნდში წლეულს ბრწყინვალედ ითამაშა, მისი ტრანსფერი კი „ღამურებისთვის“ მიუწვდომელი სულაც არ გახლავთ. მალიორკელი „მესტალიაზე“ ალბათ დავიდ ვილიას ჩაანაცვლებს, ვისაც მადრიდის „რეალში“ გადასვლა გადაუწყვეტია. „ვალენსიაში“ ფიქრობენ, რომ „ელ გუახეს“ საუკეთესო შემცვლელი სწორედ წლევანდელი პრიმერას მთავარმეგოლე იქნება.

„მალიორკა“ ფორვარდის გაყიდვას არ აპირებს, დანი გუისას კუნძულელებთან კონტრაქტის გაუქმების თანხა კი 15 მილიონი ევროა. „ვალენსიას“ მიზანია, სატრანსფერო გარიგებაში „მალიორკასთვის“ საინტერესო რამდენიმე ფეხბურთელი ჩართოს და ამით გუისა შედარებით იაფად მოინადიროს.

რამდენიმე სიტყვა „ვალენსიას“ სავარაუდო მწვრთნელებზეც ვთქვათ. თუ გუისამ სამომავლოდ „ღამურათა“ შავ-თეთრ აბჯარში გამოწყობა აირჩია, თანამშრომლობა ან „ალმერიას“ ამჟამინდელ თავკაც უნაი ემერისთან მოუწევს, ან „მალიორკაში“ თავისსავე მწვრთნელ გრეგორიო მანსანოსთან. „ღამურების“ უფროსობა ამ ორი სპეციალისტიდან აირჩიეს, დღევანდელი დამრიგებელი ვორო კი მხოლოდ დროებითი თავკაცია.

ლადო ხომერიკი



რაიან გიგზი

უეინ რუნი და კოლინ მაკლაფლინი

ვინ რიო?



რიო ფერდინანდი და რებეკა ელისონი

სან ალისო რამ მოხდა კვირა საღამოს მანჩესტერში. რიო ფერდინანდს „იუნაიტედის“ ჩემპიონობისადმი მიძღვნილ წვეულებაზე... არ უშვებდნენ. ხომ მაგარია?

კაპიტანიცა და მისი გელფრენდი რებეკა ელისონიც, გუნდის ფერებში იყვნენ გამოწყობილნი, მაგრამ რად გინდა, „235 კაზინოს“ შემშვებთან თხუთმეტწუთიანი ახსნა-განმარტება დასჭირდათ. გინდა თუ არა, ფოტოიანი საბუთი არ გაქვსო. ინგლისელმა ჟურნალისტებმა ეჭვიც კი გამოთქვეს, ის დალოცვილი „მანჩესტერ სიტის“ ფანი ხომ არ იყოო.

„ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო სანახავი იყო — თქვა მავანმა თვითმხილველმა — გარშემო ყველამ იცოდა, რიო ვინც იყო, კარისკაცს კი დაეჩემებინა, ფოტოიანი საბუთი მჭირდებაო. რიოს ერთი სული ჰქონდა, როდის შეუერთდებოდა თანაგუნდელებს, მაგრამ ყველაფრის გარკვევამდე მაინც მშვიდად იდგა“.

როგორც იცით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კვირასვე, ანუ ამ წვეულებამდე რამდენიმე საათით ადრე უიგანში 2:0 მოიგო და ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა.

ტაბლოიდები წერენ, უეინ რუნის საცოლე კოლინ მაკლაფლინი კრემისფერ კაბაში გადასარევი სანახავი იყო, რაიან გიგზი კი, მეათე ოქროს მედლის მიუხედავად, მოღუშული იდგაო.

და, რაც ძალიან საინტერესოა, ზეიმზე არ მივიდნენ კრიშტიანუ რონალდუ და სერ ალექს ფერგიუსონი.

პაპუნა კედია

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVII ტური

ბასტია — რეიმსი 1:2; ბრესტი — ბულონი 3:0; კლერმონი — ლე ავრი 1:0; დიჟონი — ანჟერი 1:3; გრენობლი — შატორუ 0:0; გენიონი — მონპელიე 1:2; ლიბურნი — ამიენი 2:5; ნანტი — გენგამი 1:1; ნიორი — აიაჩო 2:0; ტრუა — სედანი 0:1

ლე ავრი	37	21	12	4	60:30	75
ნანტი	37	19	12	6	55:31	69
გრენოგლი	37	17	12	8	43:28	63
კლერმონი	37	14	15	8	50:40	57
ტრუა	37	15	12	10	46:39	57
ბრესტი	37	15	11	11	38:38	56
სედანი	37	14	13	10	44:39	55
აიაჩო	37	14	11	12	36:40	53
ანჟერი	37	13	13	11	39:35	52
მონპელიე	37	13	12	12	38:32	51
ბასტია	37	14	9	14	45:40	51
გენგამი	37	10	15	12	36:37	45
რეიმსი	37	12	9	16	41:49	45
ამიენი	37	11	11	15	45:47	44
შატორუ	37	10	12	15	33:42	42
ნიორი	37	11	8	18	38:47	41
დიჟონი	37	9	14	14	31:50	41
ბულონი	37	11	7	19	36:54	40
ლიბურნი	37	7	11	19	41:57	32
გენიონი	37	5	11	21	35:55	26

დანია

სუპერლიგა. XXX ტური

ჰორსენსი — ოდენსე 2:2; ორჰუსი — ბრონდბიუ 1:1; რანდერსი — ნორდსიელანდი 2:1; ესბიერგი — მიდტიულანდი 3:2; ვიბორგი — ლიუნგბიუ 3:2; კოპენჰაგენი — ოლბორგი 4:0

ოლბორგი	30	19	5	6	54:38	62
კოპენჰაგენი	30	15	9	6	44:26	54
მიდტიულანდი	30	15	8	7	44:33	53
ოდენსე	30	12	15	3	44:21	51
ჰორსენსი	30	12	9	9	42:41	45
ესბიერგი	30	12	6	12	56:49	42
ნორდსიელანდი	30	11	8	11	46:47	41
რანდერსი	30	11	7	12	38:32	40
ბრონდბიუ	30	10	10	10	41:39	40
ორჰუსი	30	6	8	16	29:46	26
ვიბორგი	30	5	5	20	28:62	20
ლიუნგბიუ	30	3	8	19	32:64	17

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IV ტური

იარო — მარიეჰამნი 1:2; როვანიემი — მიუპა 1:1; ლაჰტი — ინტერი 0:1; ჰაკა — ტამპერე 1:1; ჰიკ — კუოპიო 0:0; კტპ — ვაასა 0:0; ტურკუ — ჰონკა 2:1

ინტერი	4	4	0	0	9:1	12
მარიეჰამნი	4	3	0	1	8:5	9
ლაჰტი	4	3	0	1	5:3	9
ჰიკ	4	2	2	0	8:1	8
ტურკუ	4	2	1	1	6:6	7
ჰაკა	4	1	2	1	4:2	5
როვანიემი	4	1	2	1	4:5	5
ჰონკა	4	1	1	2	3:3	4
მიუპა	4	1	1	2	4:5	4
იარო	4	1	1	2	2:5	4
ტამპერე	4	0	3	1	3:4	3
ვაასა	4	0	3	1	0:1	3
კუოპიო	4	0	1	3	2:9	1
კტპ	4	0	1	3	3:11	1

შვედეთი

ალსვენსკა. XI ტური

კალმარი — იურგორდენი 5:1; ლიუნგსკილე — ნორჩიოპინგი 0:2; ტრელებორგი — ჰელსინგბორგი 1:3; აიკ — მალმიო 2:0; გაის — იორებრო 3:0; ჰამარბი — გეფლე 2:1; სუნდსვალი — ჰალმსტადი 2:1; ელფსბორგი — გიოტებორგი 3:0

კალმარი	11	8	1	2	23:8	25
ელფსბორგი	11	6	4	1	14:3	22
აიკ	11	6	3	2	10:8	21
გიოტებორგი	11	5	4	2	17:10	19
ჰელსინგბორგი	11	5	3	3	21:15	18
ჰამარბი	11	5	3	3	13:10	18
მალმიო	11	4	5	2	16:13	17
იურგორდენი	11	4	5	2	12:14	17
ჰალმსტადი	11	4	3	4	14:13	15
გაის	11	3	6	2	10:9	15
ლიუნგსკილე	11	3	1	7	9:19	10
ტრელებორგი	11	2	3	6	9:14	9
იორებრო	11	2	3	6	4:14	9
გეფლე	11	2	2	7	8:13	8
სუნდსვალი	11	2	2	7	11:19	8
ნორჩიოპინგი	11	1	4	6	9:18	7

არწივი გაფრინდა

დასვეწილმა მეპასემ, 36 წლის რუი კოშტამ კვირას კარიერა დასრულა — „ბენფიკას“ მაისურით ბოლო მატჩი „სეტუბალთან“ (3:0) ითამაშა და ფეხბურთიდან გამარჯვებული წავიდა.

„ეს დასასრულია. გულდასაწყვეტია, მაგრამ რას იზამ, სხვა გზა არაა. სასიხარულო კი ისაა, რომ ამდენი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დავიმსახურე“ — თქვა პორტუგალიელმა, რომელიც ფეხზე წამომდგარმა 50 ათასმა კაცმა ტაშით გააცილა.

რუი კოშტას ათნომრიანი მაისურის დასაკუთრება ბევრს უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელმა... საკუთარ მამას უსახსოვრა.

ათი წლისა მიიყვანეს „ბენფიკაში“ და მაშინ ბავშვებთან მომუშავე ეუსებიომ რომ ნახა, დაიტოვა. „არწივების“ აკადემიაში რვა წელი გაატარა და 1990-ში ცოტა ხნით „ფატეში“ გაანათხოვრეს, ხოლო იქიდან დაბრუნებული უკვე ძირითად შემადგენლობაში ათამაშეს.

„ბენფიკას“ მაისურით სამ სეზონში 112 მატჩში 12 გოლი შეაგდო, რასაც „ფიორენტინაში“ გადასვლა (1994) და სერია A-ში გატარებული შვიდი სეზონი მოჰყვა.

„იებში“ ორჯერ იტალიის თასი აღმართა, მერე კი „მილანმა“ (2001) 35 მილიონ ევროდ შეიძინა და პორტუგალიელმაც იქ არაერთი ჯილდო მოიგო. მათ შორის ჩემპიონთა თასი და ევროპის სუპერთასი (2003) და სკუდეტო (2004).

„ფიორენტინაში“ 239 მატჩში — 40, „მილანში“ 169-ში — შვიდი, ნაკრებში კი, 94 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა.

ეროვნულ გუნდში ბოლოს ევრო 2004-ის ფინალში ითამაშა, რომელიც პორტუგალიამ საბერძნეთთან 0:1 წააგო.

ვაჟა ხუციშვილი

დონადონის სია გაუხმაურდა

იტალიური პრესის ცნობით, „სკუადრა აძურას“ მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ 29-კაციანი სია უკვე შეადგინა, რომელსაც მალე 23 კაცამდე შეამცირებს და ეს 23 ფეხბურთელი ევრო 2008-ზე ავსტრია-შვეიცარიაში გაემგზავრება.

დონადონიმ საბოლოო სია ყველაზე გვიან 28 მაისს უნდა გამოაქვეყნოს, თუმცა იმასაც ამბობენ, გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს და რჩეულ ოცდასამეულს 20 მაისს გააცხადებსო.

აპენინურ ჟურნალ-გაზეთებში გავრცელებულ სიაში კი ყველაზე მოულოდნელი ის გახლავთ, რომ მასში არ არიან ანტონიო კასანო და ფილიპო ინძაგი. სამაგიეროდ, არის ლაციოელი ტომაზო როკი, ვისაც მიმდინარე სეზონში 13 გოლი აქვს გატანილი.

ასევე ცოტა მოულოდნელია სიაში მესამე მეკარედ კრისტიან აბიატის მოხვედრა და არა ფრანჩესკო ტოლდოსი. აბიატიც და ტოლდოც, შესაბამისად, მადრიდის „ატლეტიკოსა“ და მილანის „ინტერის“ სარეზერვო გოლკიპერები არიან.

ვარაუდობენ, რომ ამ 29 კაციდან დონადონი შემდეგ ექვს მოთამაშეს გარიცხავს. ესენი არიან: დანიელე ბონერა, მარკო კასეტი, ალესანდრო გამბერინი, მაქს ტონეტო, რიკარდო მონტოლივო და ტომაზო როკი.

მეპარეები: ჯანლუიჯი ბუფონი, მარკო ამელია, კრისტიან აბიატი

მცველები: ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა, მარკო მატერაცი, ფაბიო გროსო, ჯორჯო კიელინი, მასიმო ოდო, დანიელე ბონერა, ალესანდრო გამბერინი, კრისტიან პანუჩი, მაქს ტონეტო, ანდრეა ბარძალი, მარკო კასეტი.

ნახევარმცველები: მასიმო ამბროზინი, ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო, მაურო კამორანეზი, დანიელე დე როსი, სიმონე პეროტა, ალბერტო აკვილანი, რიკარდო მონტოლივო.

თავდამსხმელები: ლუკა ტონი, ალესანდრო დელ პიერო, მარკო ბორიელო, ფაბიო კვალიარელა, ანტონიო დი ნატალე, ტომაზო როკი.

გიორგი ძაძაგაძე

ლევანტეს ჯამაგირს რეალი გადაუხდის?

„ლევანტემ“ გაფიცვა გამოაცხადა. უბედურ დღეში ჩავარდნილი კლუბის ფეხბურთელებს უკვე ორი წელიწადია (!), ჯამაგირი არ მიუღიათ და თუ ფინანსებთან დაკავშირებით სიტუაცია შაბათამდე არ მოგვარდა, „ლევანტე“ პრიმერას ბოლო ტურში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალთან“ ბურთაობაზე უარს იტყვის.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბერნდ შუსტერის გუნდი საამსეზონო ესპანეთის ჩემპიონობას ოფიციალურად ვერ იზეიმებს. თუ „ბერნაბეუს“ ჯახი არ შედგა, დაჯილდოების ცერემონიაც არ იქნება.

„რეალს“ მთელ მსოფლიოსა და ჩვენს კლუბებშიც ჰყავს გულშემატკივრები. „ლევანტეს“ სამეფო გუნდისთვის საქმის გაფუჭება სულაც არ უფიქრია, უბრალოდ, ხელფასებთან დაკავშირებით საშინელი სიტუაცია გვაქვს და ჩვენი გასაჭირი გვალაპარაკებს“ — განაცხადა ჟურნალისტებთან გუნდის კაპიტანმა ლუის მანუელ რუბიალესმა.

„ლევანტეს“ კაპიტანმა ორიოდე დღის წინ ესპანური ფეხბურთისადმი „მიმართვა“ გაავრცელა, რომელშიც კრიზისში მყოფნი დახმარებას სხვა ესპანურ კლუბებს სთხოვდნენ. მიმართვას 19 გუნდის კაპიტანი აწერს ხელს, ესპანელ ფეხბურთელთა ასოციაციის (AFE) პრეზიდენტი ხერარდო გონსალეს მოვილია კი აცხადებს, რომ „ლევანტეს“ პრობლემა, რაც შეიძლება, მალე უნდა გადაწყვიტონ. „სამწუხაროდ, „ლევანტეს“ ცუდი გადამხდელის რეპუტაცია აქვს, ასე რომ, ბანაკები ამ კლუბთან საქმის დაჭერას ერიდებიან. არადა, სიტუაცია უკიდურესად მძიმეა, რამე უნდა ვიღონოთ“ — ამბობს ბატონი მოვილია.

ცხადია, „რეალის“ პრეზიდენტი კალდერონიც საქმის კურსშია და კრიზისით დაზარალებულთა დახმარებას ისიც ცდილობს: „მესმის „ლევანტეს“ მდგომარეობა და ვეცდები, ეს სირთულე მალე მოვაგვაროთ. ჩვენი მიზანია, არც „რეალის“ და არც ამ კლუბის ინტერესები არ დაზარლდეს“.

ლადო ხომერიკი

პარმამ კუპერი გაუშვა

იტალიური „პარმას“ პრეზიდენტმა ტომაზო გირარდიმ ექტორ რაულ კუპერი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნა... ალბათ, ცოტა ვინმე თუ ელოდა, რომ ეს ბოლო ტურის წინ მოხდებოდა.

არგენტინელი სპეციალისტი „ენიო ტარდინიზე“ მარტში დომენიკო დი კარლოს ნაცვლად მიიყვანეს და მისგან ბევრს ელოდნენ, მაგრამ კუპერმა 10 თამაშიდან გუნდს მხოლოდ 2 მოაგებინა.

მიუხედავად ამისა, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ კუპერს „ინტერთან“ მატჩამდე მოხსნიდნენ. მით უმეტეს, რომ იგი თავის დროზე „ნერაძურისაც“ წვრთნიდა. „პარმას“ ბოლო ტურში აუცილებლად მოგება სჭირდება და შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც ვერ დარჩეს სერია A-ში. 3 ქულა უნდა „ინტერსაც“, რათა სკუდეტო „რომას“ არ გადაულოცოს. თუმცა, თუ „ჯალაროსი“ კატანიაში თავის თამაშს ვერ მოიგებს, მილანელები ყველა შემთხვევაში ჩემპიონები გახდებიან.

„მადლობას ვუხდით კუპერსა და მის თანაშემწე გუსტავო სივიეროს გაწეული სამუშაოსთვის. კლუბს ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი ანდრეა მანცო ჩაიბარებს და 18 მაისს „ინტერის“ დამარცხებას ეცდება“ — ნათქვამია „პარმას“ განცხადებაში.

მანცო, სავარაუდოდ, მხოლოდ 90 წუთი იქნება „პარმას“ მწვრთნელი, მაგრამ თუ „ინტერთან“ სასწაულს მოახდენს, ვინ იცის, ეგებ დატოვონ კიდეც.

ძოძი ძანდელაძე

კატანია რომას აშინებს

სიცილიურ „კატანიას“ ქულა სჭირდება, რათა სხვა თამაშების შედეგებს შიშით არ ელოდოს და უმაღლეს ლიგაში დარჩეს. „ელეფანტის“ პრეზიდენტი ანტონიო პულვირენტი პირობას დებს, რომ ბოლო ტურში მისი გუნდი ჩემპიონობისთვის მებრძოლ „რომასთან“ ყველაფერს გაიღებს, რათა მოიგოს.

„90 წუთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაქსიმალურად მოტივირებულნი ვართ და ფანები „სტადიო მასიმინოზე“ საოცარ ატმოსფეროს შექმნიან. ბიჭებს მთელი ქალაქი უქომაგებს. ქულაც გვყოფნის, მაგრამ მოსაგებად ვითამაშებთ“ — განაცხადა პულვირენტიმ.

ბოლო პერიოდში „რომასა“ და „კატანიას“ თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ, მაგრამ სიცილიელთა პრეზიდენტი კატეგორიულად გამორიცხავს მათ შორის რაიმე სახის შეთანხმებას.

„არანაირი შეთანხმება არ არსებობს, ეს აბსურდი და ვიღაცების ფანტაზიის ნაყოფია. არავინ არავის არაფერზე არ უთანხმდება. ეს კვირას „იუვენტუსმაც“ დაადასტურა, როცა ჩვენთან მატჩში ბოლომდე იბრძოლა გოლის გასატანად და გაგვიტანა კიდეც, არადა ტურინელებს ქულები აღარ სჭირდებოდათ. ჩემპიონატმა კორექტულად და პატიოსნად ჩაიარა, რაც ძალიან კარგია. ბოლო ტურში, ჩვენდა უნებურად, შეიძლება, „ინტერს“ დახმარება გავუწიოთ, თუ „რომას“ არ მოვაგებინებთ. როგორც იცით, ჩვენი მწვრთნელი ვალტერ ძენგა „ნერაძურის“ ლეგენდაა“ — დასძინა პულვირენტიმ.

ძოძი ძანდელაძე

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი პლეი ოფი						
		14 მაისი						
22:45	311	პალი-უოტფორდი	2.20	3.10	3.25	1.28	1.31	1.58
		ინგლისი. I ლიგა პლეი ოფი						
		15 მაისი						
22:45	368	კარლაილი-ლიდსი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
		16 მაისი						
22:45	369	დონკასტერი-ბაუფენდი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
		ინგლისი. II ლიგა პლეი ოფი						
		17 მაისი						
15:00	347	როჩდეილი-დარლინგტონი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
21:00	348	ხტოკპორტი-უიკომბი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		ინგლისი. კონფერენსი პლეი ოფი						
		18 მაისი						
19:00	346	ექსეტერი-კემბრიჯი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		17 მაისი						
15:30	370	მოზერუელი-რეინჯერსი	7.00	3.70	1.45	2.42	1.20	1.04
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		17 მაისი						
17:30	1	ლევერკუზენი-ვერდერი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
17:30	2	ბაიერნი-ჰერტა	1.40	4.20	6.50	1.04	1.15	2.55
17:30	4	შტუტგარტი-არმინია	1.55	3.80	5.20	1.10	1.19	2.19
17:30	5	პანოვერი-კოტბუსი	1.65	3.60	4.75	1.13	1.22	2.04
17:30	6	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	3.50	3.40	1.95	1.72	1.25	1.23
17:30	7	ჰამბურგი-კარლსრუე	1.30	4.60	8.00	1.01	1.11	2.92
17:30	9	ბოხუმი-ჰანზა	1.50	3.80	6.00	1.07	1.20	2.32
17:30	10	აინტრახტი-დუისბურგი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
17:30	11	ნიურნბერგი-შალკე	2.45	3.40	2.50	1.42	1.23	1.44
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		14 მაისი						
20:00	372	კოტბუსი (მ)-ვერდერი (მ)	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
		ავსტრია. I დივიზიონი						
		16 მაისი						
21:00	40	შვადორფი-კაფენბერგი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
21:00	42	გრატკორნი-ზალცბურგი მ	1.60	3.30	5.30	1.07	1.22	2.03
21:00	43	შვარნშტადტ-აუსტრია(მ)	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
21:00	44	კერნტენი-პარნდორფი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
21:00	45	ლეობენი-ლუსტენაუ	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37
		იტალია. სერია A						
		17 მაისი						
17:00	48	სამპდორია-იუვენტუსი	2.50	2.90	2.90	1.34	1.34	1.45
		18 მაისი						
17:00	46	პარმა-ინტერი	4.50	4.50	1.55	2.25	1.15	1.15
17:00	50	ემპოლი-ლივორნო	1.20	5.30	13.00	1.00	1.09	3.76
17:00	51	ლაციო-ნაპოლი	2.35	2.70	3.35	1.25	1.38	1.49
17:00	52	სიენა-პალერმო	2.20	2.70	3.80	1.21	1.39	1.57
17:00	53	კალიარი-რეჯინა	2.10	2.60	4.20	1.16	1.39	1.60
17:00	54	კატანია-რომა	6.00	3.20	1.65	2.08	1.29	1.08
17:00	55	მილანი-უდინეზე	1.30	4.90	9.00	1.02	1.13	3.17
17:00	57	ტორინო-ფიორენტინა	6.50	4.50	1.40	2.65	1.15	1.06
17:00	59	ატალანტა-ჯენოა	2.15	2.70	4.00	1.19	1.39	1.61
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		17 მაისი						
22:00	101	ესპანიოლი-ალმერია.	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
23:45	108	მურსია-ბარსელონა	5.20	3.70	1.60	2.16	1.22	1.11
		18 მაისი						
20:00	100	უელვა-ვალიადოლიდი	2.05	3.10	3.45	1.23	1.28	1.63
23:00	102	დეპორტივო-ვილიარეალი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
20:00	103	ვალენსია-ატლეტიკო	2.60	3.20	2.50	1.43	1.27	1.40
22:00	105	რეალი-ლევანტე	1.15	6.20	15.00	1.00	1.06	4.38
20:00	107	მალიორკა-სარაგოსა	2.20	3.40	2.90	1.33	1.25	1.56
20:00	110	რასინგი-ოსასუნა	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
23:00	111	ხეხოლია-ბილბაო	1.45	4.20	6.00	1.07	1.16	2.47
20:00	112	ხეტაფე-ბეტისი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		17 მაისი						
22:45	124	მეცი-ლე მანი	3.30	3.10	2.10	1.59	1.28	1.25
22:45	126	ლორიანი-ლილი	2.80	3.10	2.35	1.47	1.27	1.33
22:45	127	ოსერი-ლიონი	8.50	3.50	1.40	2.47	1.20	1.00
22:45	129	სტეტიენი-მონაკო	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
22:45	131	ხოშო-პსჟ	4.00	3.20	1.85	1.77	1.26	1.17
22:45	132	ნანსი-რენი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
22:45	133	მარსელი-სტრასბური	1.15	6.00	14.00	1.00	1.06	4.19
22:45	134	ტულუზი-ვალენსიენი	1.40	3.80	7.50	1.02	1.17	2.52
22:45	135	დანხი-ბორდო	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
22:45	136	ნიცა-კაენი	1.95	3.10	3.70	1.19	1.27	1.68
		ჰოლანდია. პლეი ოფი						
		15 მაისი						
20:00	363	ვალვაიკი-დენ ჰაგი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
22:00	364	გრაავხხაპი-ზვოლე	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
		ბაბერძნეთი						
		14 მაისი						
20:00	360	აეკ-პანათინაიკოსი	2.30	3.00	2.70	1.30	1.24	1.42
20:00	361	არისი-პანიონიოსი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
		რუსეთი						
		15 მაისი						
20:30	157	მოსკოვი-კრილია	2.20	2.80	3.40	1.23	1.33	1.53
18:15	158	რუბინი-შინიკი	1.35	4.00	8.50	1.00	1.16	2.72
16:00	159	ტომსკი-ენერგია	1.60	3.00	6.55	1.04	1.28	2.05
19:00	160	სპარტაკი-სატურნი	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
		16 მაისი						
18:00	161	ხიმკი-ლოკომოტივი მ	3.50	2.80	2.10	1.55	1.31	1.20
19:00	163	დინამო მ-ტერეკი	1.45	3.40	7.50	1.01	1.21	2.33
		ირლანდია						
		16 მაისი						
22:45	260	დუბლინი-გალვეი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:00	261	ფინ პარპი-შემროკი	2.60	3.10	2.30	1.41	1.22	1.32
22:45	263	დერი-კობი	1.40	3.60	6.50	1.00	1.15	2.31
22:45	264	დროგედა-სტ.პატრიკი	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
		17 მაისი						
23:00	265	სლიგო-ბრეი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
		18 მაისი						
22:00	262	ბოჰემიანი-კორკი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		ჩილე						
		14 მაისი						
23:30	343	პიკინხი-უნ ჩილე	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
23:45	344	ნუბალენსე-კობრეალოა	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
23:45	345	ოუდასი-ევერტონი	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
		უეფას თასი						
		14 მაისი						
22:45	97	ზენიტი-რეინჯერსი	2.25	3.10	3.20	1.30	1.32	1.57
22:45	98	ზენიტი-რეინჯერსი 0:1	4.30	3.50	1.60			
		ინგლისი. თასი						
		17 მაისი						
18:00	341	პორთსმუთი-კარდიფი ნ	1.60	3.70	5.10	1.11	1.21	2.14
		ბელგია. თასი						
		18 მაისი						
18:30	357	გენტი-ანდერლეხტი ნ	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		პორტუგალია. თასი						
		18 მაისი						
23:30	362	პორტუ-სპორტინგი ნ	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
		ხაბერძნეთი. თასი						
		17 მაისი						
22:45	359	ოლიმპიაკოსი-არისი	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
		რუსეთი. თასი						
		17 მაისი						
15:00	367	ცსკა-ამკარი	1.45	3.80	6.40	1.04	1.18	2.38
		ხორვატია. თასი						
		14 მაისი						
19:30	358	ჰაიდუკი-დინამო ზ	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
		ლიბერტადორესის თასი						
		14 მაისი						
23:45	350	ბოკა ხუნიორსი-ატლასი	1.33	4.20	7.50	1.01	1.12	2.69
23:45	351	სან პაულუ-ფლუმინენსე	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
		15 მაისი						
23:45	353	ამერიკა-სანტოსი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
		16 მაისი						
23:45	352	სან ლორენსო-ქუიტო	1.40	3.80	6.90	1.02	1.16	2.45
		პოკერი.მ 2008 კანადა						
		14 მაისი						
21:00	400	ჩეხეთი-შვედეთი	2.30	4.20	2.40	1.48	1.17	1.52
21:00	401	ჩეხეთი-შვედეთი 0:1	3.20	5.00	1.55			
23:30	402	კანადა-ნორვეგია	1.01	12.00	18.00	1.00	1.00	7.19
23:45	403	რუსეთი-შვეიცარია	1.15	7.00	10.00	1.00	1.03	4.11
23:45	404	რუსეთი-შვეიცარია 0:2	1.70	5.30	2.60			
23:45	405	აშშ-ფინეთი	2.30	4.20	2.40	1.48	1.17	1.52
23:45	406	აშშ-ფინეთი 0:1	3.10	5.20	1.55			
		ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		14 მაისი						
22:15	323	ნორდპორნი-ჰამბურგი	1.90	8.00	2.00	1.53	1.00	1.60
22:15	324	გრიფვალსტადტი-გუმერსბახი	2.30	9.00	1.70	1.83	1.00	1.42
22:15	325	გოპინგენ-კიელი	8.50	12.00	1.07	4.97	1.00	1.00
22:15	326	რეინ ნეკარი-ფლენსბურგი	2.05	8.00	1.85	1.63	1.00	1.50
		ხელბურთი. კაცები დანიის ჩემპიონატი						
		16 მაისი						
22:45	322	ფმკ-ხვენდბორგი	1.40	10.00	3.00	1.22	1.00	2.30
		პოკერი. მ 2008 კანადა პირველი პერ						
		14 მაისი						
21:00	407	ჩეხეთი1-შვედეთი1	2.80	2.40	2.90	1.29	1.42	1.31
23:30	408	კანადა1-ნორვეგია1	1.12	6.00	11.00	1.00	1.01	3.88
23:45	409	რუსეთი1-შვეიცარია1	1.50	3.40	5.00	1.04	1.15	2.02
23:45	410	აშშ1-ფინეთი1	2.60	2.30	2.90	1.22	1.37	1.28
		პოკერი. მ 2008 კანადა მეორე პერ						
		14 მაისი						
21:00	411	ჩეხეთი2-შვედეთი2	2.70	2.40	2.90	1.27	1.39	1.31
23:30	412	კანადა2-ნორვეგია2	1.12	6.00	11.00	1.00	1.01	3.88
23:45	413	რუსეთი2-შვეიცარია2	1.50	3.30	5.00	1.03	1.15	1.98
23:45	414	აშშ2-ფინეთი2	2.60	2.30	2.90	1.22	1.37	1.28
		პოკერი. მ 2008 კანადა მესამე პერ						
		14 მაისი						
21:00	415	ჩეხეთი3-შვედეთი3	2.70	2.40	2.90	1.27	1.39	1.31
23:30	416	კანადა3-ნორვეგია3	1.12	6.00	11.00	1.00	1.01	3.88
23:45	417	რუსეთი3-შვეიცარია3	1.50	3.30	5.00	1.03	1.15	1.98
23:45	418	აშშ3-ფინეთი3	2.60	2.40	2.80	1.24	1.34	1.29

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10097	ზენიტი-რეინჯერსი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10311	პალი-უოტფორდი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10341	პორთსმუთი-კარდიფი ნ	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11097	ზენიტი-რეინჯერსი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11311	პალი-უოტფორდი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11341	პორთსმუთი-კარდიფი ნ	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

თამაშბარე მდგომარეობა

18:00 373 ზენიტი-რეინჯერსი ---- 5,5 ------ 1.60 ------ 1.90

პირველი გოლი (2-29)/(30-90)

22:45 374 ზენიტი-რეინჯერსი ---------- 1.85 ------ 2.25

იძენება გაძევება (ძირ დრო)

22:45 375 ზენიტი-რეინჯერსი ---------- კი ---- 11.00

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

22:45 376 ზენიტი-რეინჯერსი ---------- კი ------ 4.50

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

საქართველოს ჩემპიონატი
სუპერლიგა. ნახევარფინალი

მეხუთე მატჩის თარიღი: მეხუთე თვის 15 რიცხვი, 15 საათი და 15 წუთი

13 მაისი. სპორტის სასახლე

ავიამშენი 2:2 თსუ

ავიამშენი 71:79 თსუ

26:19 18:24 17:19 10:17

ავიამშენი: ტუღუში (12), ნიკოლაძე (11), კვიმსაძე (7), ნინიაშვილი (13), მათიაშვილი (11); ბერაია (8), მინაშვილი (7), იმნაძე (2)

თსუ: არნოვიძე (3), ხეცურიანი (11), ფანჩულიძე (26), კეიდია (5), ყველაშვილი; ტყეშელაშვილი (20), ბარბაქაძე (14), კოხრეიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

როგორც მოსალოდნელი იყო, „ავიამშენისა“ და თსუ-ს ნახევარფინალური სერია მეხუთე, გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა. 2:1 დაწინაურებულმა „ავიატორებმა“ გუშინ ვერ მოახერხეს სტუდენტების ძლევა და ახლა ფინალისტის ვინაობას ხვალინდელი მატჩი გადაწყვეტს.

სერიის წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, გუშინდელ მატჩში გუნდები ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს და ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. თუმცა იყო მომენტი, რომელსაც ალბათ დანანებით გაიხსენებენ „ავიატორები“ — პირველი მეოთხედის შუაწელში ლევან მოსეშვილის გუნდს 14-ქულიანი ლიდერობა ეპყრა და ცოტა მახვილგონივრულობა რომ გამოეჩინა, ფინალს საგზურს სათუოდ არ გაიხდიდა.

სტუდენტები კი კვლავ ქების ღირსნი არიან. მათ ნახსენები ჩამორჩენა ხომ გააბათილეს და ეს ერთერთი ლიდერის გარეშე მოახერხეს. სერიის წინა შეხვედრაში დავით ბერიშვილმა იატაკს თავი დაარტყა და მართალია, იმ შეხვედრაშივე დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ გუშინ... სტუდენტების ხელჩუბინი და ფეხმარდი გამთამაშებელი თსუ-ს სათადარიგო სკამზე კი იჯდა, მაგრამ სპორტული ფორმის გარეშე.

ამიტომაც, სტუდენტების თავიდანვე დიდი სხვაობით ჩამორჩენის შემდეგ მათი მდგომარეობა გამოუვალს ჰგავდა. თამაშის სცენარიდან გამომდინარე, თსუ-ს მატჩის შეტრიალების მცირე შანსი ჰქონდა და სწორედ ამ მცირედს ჩაებღაუჭა ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი.

„ავიამშენს“ თავიდან თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა. კარგი ტანდემი შეკრეს ფარქვეშ თორნიკე ნინიაშვილმა და რიჩარდ მათიაშვილმა, რომლებსაც ზურგს კოტე ტუღუში და გიორგი ნიკოლაძე უმაგრებდნენ. გიორგი ყველაშვილმა „ავიამშენის“ მაღლებს ფარქვეშ წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ხოლო თსუ-ს დანარჩენი მაღლები უფრო პერიმეტრზე ბურთაობით იყვნენ დაკავებულნი და სტუდენტებიც პირველი მეოთხედის მე-8 წუთისთვის 9:23 ჩამორჩნენ.

ნუგზარ ჭეიშვილს ასეთ დროს თავისი გუნდი პრესინგზე გადაჰყავს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ის სხვაგვარად მოიქცა. სტუდენტებმა მეტოქეს ფარქვეშ ჭიდაობა არ დაუწყეს და სწრაფი გარღვევებით იწყეს ვითარების გამოსწორება, რასაც სამქულიანებსაც მშვენივრად უთავსებდნენ და ანგარიშმაც ლღობა იწყო. პირველი მეოთხედის დასრულებამდე დარჩენილ 2 წუთში მიხეილ ფანჩულიძემ მიჯრით 8 ქულა მიითვალა, რასაც „ავიატორმა“ გიორგი ნიკოლაძემ მხოლოდ სამქულიანით უპასუხა და პირველი შესვენებისთვის თსუ-მ 7 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა — 19:26.

მეორე მეოთხედში „ავიამშენის“ თავკაცს ცვლილებებმა არ გაუმართლა. მოედანზე გამოსული ფარქვეშა წყვილი უწინდელზე გაცილებით ინერტული იყო. დავით იმნაძემ და ვახტანგ მინაშვილმა ფარზე პოზიციები დათმეს და „ავიამშენსაც“ ქულების ხვეჭა გაუძვირდა. ფანჩულიძემ მეორე ათწუთეულშიც გააგრძელა ჩუბინობა და მას ხელი ნომინალურმა ცენტრმა ვახტანგ ტყეშელაშვილმაც აუწყო. ეს უკანასკნელი ფარქვეშ იშვიათად ერთვებოდა ორთაბრძოლებში და პერიმეტრიდან ჩხვლეტდა მეტოქეს. ტყეშელაშვილმა ტანმაღალი მოთამაშესთვის შეუფერებლად ბევრი, 4 სამქულიანი მითვალა და მისმა სროლებმა შეხვედრაში გარდატეხა შეიტანა.

პირველი მეოთხედის ბოლო და მეორეს საწყისი წუთები სტუდენტებმა 24:5 მოიგეს და 33:28 დაწინაურდნენ. ამ ეპიზოდში ფანჩულიძეს და ტყეშელაშვილს დავით ბარბაქაძეც შეეშველა სამქულიანებით და ახლა უკვე „ავიამშენი“ იქცა მდევრად.

ანგარიშში სხვაობა დიდი არ იყო, მაგრამ სტუდენტებისთვის მის ოდენობას დიდი ფასი ჰქონდა და ცხადი გახდა, რომ თამაში თანაბრად გაგრძელდებოდა. მოსეშვილმა მოედანზე დაბრუნა ნინიაშვილი და მათიაშვილი, მაგრამ სტუდენტებს უკვე ისეთი დაცვის ჯებირი აეგოთ საკუთარ საჯარიმოსთან, რომ ეს მოთამაშეები შევიწროვდნენ.

ამიტომაც იყო, რომ „ავიამშენიც“ სროლებზე გადავიდა, მაგრამ იმდენი ვერ ჩაეგდო, რომ სოლიდური ლიდერობა დაებევებინა. ტუღუშისა და ნიკოლაძის სამქულიანებმა მოსეშვილის გუნდს ჩამორჩენა გააბათილებინა, საპირველტაიმო სირენის თანხლებით მათიაშვილის მიერ ჩაგდებული ბურთით კი ისინი შესვენებაზე ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 44:43.

გურამ დოლიძე/ეროვნული ფოტო

მესამე მეოთხედი დროის ფუჭი კარგვა გამოდგა იმ გაგებით, რომ საინტერესო არაფერი მომხდარა. მთელი ათწუთეული ქულა-ქულაში გაილია, ხან ერთი გუნდი მოიპოვებდა ლიდერობას და ხან მეორე, საბოლოოდ კი გადამწყვეტი მეოთხედის წინ თსუ-ს შერჩა ქულიანი უპირატესობა.

ნათელი იყო, რომ ბოლო მეოთხედში ვინც იყოჩაღებდა, მოგებაც მას დარჩებოდა. შემთხვევით არაფერი ხდება და ალბათ იმიტომ გაუმართლათ სტუდენტებს, რომ მათ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. წაგება ჭეიშვილის გუნდისთვის სერიაში დამარცხებას ნიშნავდა და სტუდენტებმაც ძალიან მოინდომეს. თსუ-სთვის ქულებს ბოლო მეოთხედის საწყის წუთებში მხოლოდ ტყეშელაშვილი იხვეჭდა. ორ გარღვევას მან სამქულიანიც მიაბა და თსუ-ს ძვირფასი ლიდერობა დაუბევა — 71:65.

„ავიამშენი“ კი ეცადა, მაგრამ მისი წევრები ისეთ ბურთებს აცილებდნენ, რომ მოგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. სტუდენტებმა მცირე ლიდერობა ბოლო წუთებამდე შეინარჩუნეს; რასაც ქებული დაცვის ხარჯზე მიაღწიეს და როცა ირაკლი კეიდიამ სამქულიანიც ჩააჭედა, „ავიატორთა“ საქმე საბოლოოდ მოთავდა.

გადამწყვეტი მატჩი 15 მაისს, 15 საათსა და 15 წუთზე გაიმართება სპორტის სასახლეში. გამარჯვებული „ენერჯი-ინვესტს“ შეუერთდება ფინალში.

ირაკლი პერტაია

NBA პლეი ოფი. მეორე წრე

ლებრონ ჯეიმსმა ბოსტონი აააყენა და დედა დასვა

12 მაისი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 2:2 კლივლენდი

კლივლენდი 88:77 ბოსტონი

კლივლენდი: ჯეიმსი (21 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა), შეერბიაკი (14), გიბსონი (14), ვარეჯაო (12)

ბოსტონი: გარნეტი (15 ქულა, 10 მოხსნა), ალენი (15), რონდო (15), პირსი (13)

ასოშეიტედ პრესის კორესპონდენტმა მატჩის მომოხილვაში დაწერა, ლებრონ ჯეიმსმა დედა და „ბოსტონი“ თავიანთ ადგილებზე დასვაო. ჩანს, შვილის შემყურე მშობელი ძალზე განიცდიდა მოედანზე განვითარებულ მოვლენებს და კლუბის მიერ მოთამაშეთა ახლობლებისთვის ნაფეშქაშევი სკამიდან მალიმალ წამოხტებოდა-ხოლმე. შვილმა კი ისე იბურთავა, რომ დედიკო დაამშვიდა.

აი, თავის ადგილზე დასმულ „ბოსტონს“ კი დამშვიდების უფლება ნამდვილად არ აქვს. სანამ სერია ბოსტონში მიედინებოდა, წერდნენ, რომ „სელტიქსმა“ დასვა ჯეიმსიო, ახლა კი სწორედ რომ პირიქით მოხდა. აღმოსავლეთის ფავორიტმა ჯერ „ატლანტასთან“, ახლა კი უკვე „კლივლენდთანაც“ ვერ მოახერხა სტუმრად მოგება და სერიაში 2:0 დაწინაურებულმა მეტოქეს ისევ მოწყალედ უბოძა ანგარიშის გათანაბრების შანსი. „კელტებმა“ თითქოს ყველაფერი კარგად გააკეთეს, ისევე როგორც წინა სამ თამაშში ახლაც ამოკეტეს ჯეიმსი და ისეთი მეურვეობა დაუწესეს, მთავარმა „კავალერისტმა“ კვლავ საშინლად ისროლა — თამაშიდან 20 ტყორცნიდან მხოლოდ 7 გამოიყენა და „ბოსტონთან“ ჯამში 78 სროლიდან 20 ჩაგდება თუ მოეძევება. მაგრამ სამაგიეროდ ლებრონმა თანაგუნდელები დაუზარლად მოამარაგა პასებით და ამ მწირქულიან თამაშში ეს აღმოჩნდა ბევრის გადამწყვეტი.



„კლივლენდმა“ დაცვაშიც აჯობა „ბოსტონს“, თანაც ყველაზე საჭირო დროს, მეოთხე მეოთხედში, როცა შეტევაში ისედაც გაწვალებულმა კევინ გარნეტმა და მისიანებმა მხოლოდ 12 ქულა შეაკოწიწეს და პლეი ოფში მეხუთე გასვლითი თამაშიც დათმეს. არადა, რეგულარულში ამ ფრონტზე ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდნენ — 41 გასვლიდან 31 მოიგეს.

„არც კი ვიცი, რა გითხრათ ამის თაობაზე — ხელებს შლის „კელტების“ ერთ-ერთი ლიდერი რეი ალენი — ალბათ არ გვიმართლებს და ადრე თუ გვიან ამ ნავსაც გავტეხთ.“

ოღონდ მანამდე ლებრონმა და მისმა გუნდმა არ გატეხოს სხვა ნავსი — ემანდ „ბოსტონს“ პლეი ოფში პირველი შინაური მარცხი არ მოუმზადოს.

ივანე კოგბიაფვილი

ლებრონ ჯეიმსი ბოსტონთან თამაშებში

		სრ	ჩაგ	ქ
6 მაისი	72:76	18	2	12
8 მაისი	73:89	24	6	21
10 მაისი	108:84	16	5	21
12 მაისი	88:77	20	7	21

და აქაც ბრაიანტი

ორშაბათს ნბა-მ დაცვის სიმბოლური გუნდები დაასახელა. პირველ გუნდში რაღა თქმა უნდა მოხვდნენ ოფიციალურად სეზონის საუკეთესო დაცვითი მოთამაშე და ყველაზე კარგად დამცველი გუნდის ლიდერი კევინ გარნეტი, შარშანდელი საუკეთესო დამცველი და წლეულს უყოჩაღესი დამფარებელი მარკუს კემბი, ლიგის ყველაზე სისხლისმწოველი პერსონალური მეურვე ბრიუს ბოუენი, ტიმ დანკანი (ესეც დიდად გამორჩეულია საკუთარ ფარქვეშეთში და თანაც მე-11-ედ მოხვდა დაცვის პირველ გუნდში) და კობი ბრაიანტი, რომელიც ლიგამ წლეულს პირველად აღიარა უძვირფასეს მოთამაშედ და საკუთარ ნახევარზე გარჯაც არ დაუკარგა.

დაცვის პირველი გუნდი

კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო)
კევინ გარნეტი (ბოსტონი)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
მარკუს კემბი (დენვერი)

დაცვის მეორე გუნდი

კრის პოლი (ნიუ ორლეანი)
რაჯა ბელი (ფინიქსი)
შეინ ბეტიე (ჰიუსტონი)
ტაიშონ პრინსი (დეტროიტი)
დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

ვაა, რაფო?!

გია რაფავას არშემდგარი დაბრუნება

ბადრი ჯიმილაძის ფოტო

მასზე ამბობდნენ, არ გაუმართლა საქართველოში რომ დაიბადა, თორემ მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახდებოდაო. გია რაფავას არ გაუმართლა, როდესაც კლოდ სორელმა აითვალწუნა და ორმეტრიანი გოლიათი ნაკრებს ჩამოაშორა. სორელამდე გია რაფავამ 13-ჯერ ითამაშა ნაკრებში და გულშემატკივართა ჯილა იყო. არაადამიანური ჯანის პატრონი, მეტოქეს მეტოქეზე ანგრევდა და ბორჯღალოსანთა კაპიტნობაც მოასწრო. „რაფომ", როგორც მას შინაურულად ეძახიან, ნაკრებში ბოლოს 1999 წელს ითამაშა და იქიდან მოყოლებული, თავისიანთა თამაშს და ორ მსოფლიოს თასს მხოლოდ ტელევიზორით უყურებდა. ბოლოს გია ინგლისში დაფუძნდა, სადაც დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ამ დღეებში კი „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე გამოჩნდა, საქართველოს ჩემპიონატის ტურს დაესწრო...

— აქ პირადი საქმეებისთვის ჩამოვედი. ერთი კვირა დავრჩები, მერე კი ლონდონში უნდა დავბრუნდე — გვითხრა გია რაფავამ, საინტერვიუოდ რომ ვესტუმრეთ.

— ვიცით, რომ ბოლოს ინგლისში თამაშობდით. სარაგბო კარიერა დაასრულეთ?

— ინლისში სამი წელი ვითამაშე. ჯერ უმაღლესი ლიგის „ბედფორდში" ვიყავი, მერე მეორელიგელ „ლონდონ-უელსში", ბოლოს კი მესამედივიზიონელ „ბლექისში" ვთამაშობდი. ერთ-ერთი მატჩისას მხრის მძიმე ტრავმა მივიღე და 33 წლისამ რაგბის თამაშს თავი დავანებე.

— მწვრთნელობა არ გიცდიათ?

— „ბლექისში" 12-13 წლის ბავშვებს ვავარჯიშებდი, მაგრამ მწვრთნელობა დიდხანს არ დამცალდა. ამ საქმეს მენტალურად ვერ შევეწყვე. მკაცრი ვიყავი. დისციპლინას ვითხოვდი, ინგლისელებს კი ეს არ მოსწონთ. იქ ბავშვებს სრულ თავისუფლებას აძლევენ და ჩემი მეთოდები მათთვის მიუღებელი იყო. ამიტომ შევეშვი ამ საქმეს.

— ინგლისში რას საქმიანობთ? როგორც ვიცი, ლონდონში ქართული რესტორანი გაქვთ...

— ჩემი მეუღლის ძმას აქვს რესტორანი „თბილისი". ეს უფრო ოჯახური ბიზნესია, ახლა უძრავ-მოძრავი ქონების სააგენტო გვაქვს. ცოლის სანათესაოსთან ერთად გავაკეთეთ. პირველად ჩემი არაფერია, ერთგვარი ოჯახური ბიზნესია.

— ლონდონში ქართველები ხშირად გსტუმრობენ?

— რესტორანში მოდიან ხოლმე ქართველები. ადრე საქართველოს ნაკრებში ჩემი გუნდელები დავით ვართანიანი და ცხონებული აჩიკო კობახიძე გვესტუმრნენ, ნაკრების ბიჭებს კი ხშირად ლონდონის შვიდკაცაზე ვნახულობდი. ადრე ეტაპს არ ტოვებდნენ, ბოლოსკენ კი ხშირად აღარ ჩამოდიან. ისე, შვიდკაცა რაგბიზე მე მაგრად ვერთობი, კარგი საყურებელია, თან ტურისტებზეა გათვლილი. სახალისო რაგბია.

— არ გიცდიათ შვიდკაცა რაგბიც გეთამაშათ?

— ერთი-ორჯერ ვცადე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშისას მოვხვდი შვიდკაცა ნაკრებში, მაგრამ საჩემო საქმე არაა. ჩემი სხეული ასეთ სისწრაფეს და დატვირთვას ვერ უძლებს. აქ უფრო ფეხმარდი მორაგბეები არიან საჭირო.

— როგორც ვიცით, შემოთავაზება გქონდათ, რომ ბოლო მსოფლიოს თასზე ნაკრებში დაბრუნებულიყავით...

— დიახ, საქართველოს რაგბის კავშირის უფროსობამ დამირეკა და შემომთავაზა, ნაკრებში დავბრუნებულიყავი. ეს ბიჭებისთვის სტიმული იქნება, მათ გვერდით რომ იქნებიო. ძალიან გამიხარდა და იმწუთსვე დავთანხმდი. არ მინდოდა, სარაგბო კარიერა ისე დამესრულებინა, მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებთან ერთად რომ არ ვყოფილიყავი. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს თასზე თამაში ჩემი და ჩემი თაობის ოცნება იყო.

— რა მოხდა? რატომ არ წახვედით საფრანგეთში?

— როგორც მერე აღმოჩნდა, ეს ამბავი ნაკრების მწვრთნელებთან ბოლომდე შეთანხმებული არ ყოფილა. მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, მსოფლიოს თასზე ის მოთამაშეები წაეყვანათ, ვის თავზეც გადაიარა შესარჩევების სიმძიმემ. მწვრთნელების კარგად მესმის. ბოლო პერიოდში ნაკრებში ბევრმა მორაგბემ ითამაშა და ყველა იმსახურებდა მსოფლიოს თასზე წასვლას. ადგილების სიმცირის გამო ისედაც ბევრი ღირსეული კანდიდატი დარჩა ნაკრებს მიღმა და ჩემი წაყვანაც მთლად გამართლებული არ იქნებოდა. არავისზე ნაწყენი არ ვარ. უბრალოდ, ძალიან დამწყდა გული, რომ საფრანგეთში ვერ წავედი. თანაც ლონდონში მეგობრებს ვუთხარი, ნაკრებში მაბრუნებენ-მეთქი. მერე კი ჩემი წაუსვლელობის მიზეზს ვერ ვეუბნებოდი... რაც არის, არის. სამწუხაროდ, კლოდ სორელის დროს მსოფლიოს თასზე თამაში კი არა, ნაკრებში მოხვედრაც სანატრელი მქონდა, ახლა კი...

— ძველი ამბავია, მაგრამ როცა სორელთან ურთიერთობა ვერ ააწყეთ, სწორედ მაშინ დასრულდა თქვენთვის სანაკრებო კარიერა. რატომ არ გწყალობდათ სორელი?

— თავიდანვე ამითვალწუნა. ირლანდიაში, 1999 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპი რომ გაიმართა, მაშინ ბიჭებს უთხრა, რაფავას გარეშე თამაში ისწავლეთო. ეს ყველასთვის შეურაცხყოფა იყო. რა გამოდიოდა, რომ მე ვათამაშებდი გუნდს, დანარჩენები კი არაფერს აკეთებდნენ. მაშინვე მივხვდი, სორელის ხელში ნაკრებს ვერ ველირსებოდი. ასეც მოხდა. თანაც საკლუბო კარიერაც ვერ ამეწყო მაინცდამაინც კარგად.

— ერთ-ერთი პირველი წახვედით საფრანგეთში სათამაშოდ. თითქმის ყველა კლუბში იოლად მოეწყვეთ, მაგრამ დიდხანს ვერ ჩერდებოდით. საფრანგეთს მენტალურად ვერ შეეწყვეთ?

— ეგეც იყო. იმ პერიოდში დაძაბული ვიყავი, ნაკრებში აღარ მიწვევდნენ, ოჯახს მოვწყდი და... საფრანგეთის ჩემპიონატი საკმაოდ უხეში ტურნირია. მოედანზე ხშირად ვჩხუბობდი, წითელი ბარათიც არ იყო უცხო ჩემთვის. ამიტომ მწვრთნელები ვეღარ მენდობოდნენ. მიწევდა აქეთ-იქით სიარული. მერე კი ოჯახთან ერთად ინგლისში წავედი და ტელევიზიით ვუყურებდი ჩვენი ნაკრების თამაშებს.

— ალბათ ძალიან განიცდიდით, რომ მათთან ერთად არ იყავით...

— რა თქმა უნდა, ასეც იყო. როგორია, ზიხარ ტელევიზორთან და ამ დროს მთელი არსებით გინდა მოედანზე ბიჭებთან ერთად იყო. საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე ჩვენი ნაკრების თითქმის ყველა მატჩი ვნახე და მაინცდამაინც ირლანდიასთან თამაში გამოვტოვე. რაღაც სასწრაფო საქმეები გამომიჩნდა და... არადა, იმ მატჩზე მთელი სარაგბო მსოფლიო დღემდე ლაპარაკობს.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრები უახლოვდება იტალიის ან, ვთქვათ შოტლანდიის დონეს?

— იტალიას შეიძლება ახლაც მოუგონ ჩვენებმა. ჩვენების სწრაფი პროგრესის ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი ეროვნული ჩემპიონატია. თუ აქ ვერ გაიზარდე, კარგ უცხოურ კლუბში ვერ მოეწყობი. ლეგიონერებიც ნელ-ნელა წავლენ ნაკრებიდან და საკადრო პრობლემაც გაჩნდება. გადმოცემით ვიცი, რომ კლოდ სორელს რუსებმა მოსთხოვეს, ნაკრები ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებით დააკომპლექტოს. იქ საკლუბო რაგბიში დიდი ფული ტრიალებს. ჩვენს ჩემპიონატშიც უნდა ჩაიდოს ფული, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გია ნიჟარაძეს ვესაუბრე, მითხრა, რომ ამ მხრივ უკვე დაწყებულია მუშაობა და მალე ვითარება გამოსწორდება.

— რაგბის კავშირმა რამე დონეზე თანამშრომლობა ხომ არ შემოგთავაზათ?

— იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ოფიციალურ დონეზე თანამშრომლობა ჯერჯერობით არ გამოდის. ინგლისში უამრავი საქმე მაქვს და არც შესაბამისი გამოცდილება დამიგროვდა. ისე, თუ რამეში დავჭირდები, ყველანაირად დავეხმარები.

— რომელიმე მორაგბემ რომ გთხოვოს ინგლისურ კლუბში მოწყობა, რეკომენდაციას გაუწევთ?

— მე კი გავუწევ, მაგრამ ნორმალურ კლუბში მოწყობა, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ბრიტანული ქვეყნები, ამას დაუმატეთ ინგლისურენოვანი კოლონიები — ფიჯი, სამოა, ტონგა, ავსტრალია, ახალი ზელანდია — ყველა პრემიერლიგის კლუბებზე მუშაობს. ყოველ წელს ინგლისში ამ ქვეყნებიდან მოთამაშეების ნაკადი მოდის. ძალიან მაგარი უნდა იყო, მათ კონკურენცია გაუწიო. დაბალი ლიგის კლუბებში თამაშს კი ისევ საფრანგეთის მეორეხარისხოვან ან იტალიის რომელიმე მოწინავე კლუბში თამაში სჯობს. ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი ისევ და ისევ საფრანგეთის ჩემპიონატია. ეს ბაზარი უკვე ათვისებული გვაქვს და ქართველ მორაგბეებს დამატებითი რეკომენდაცია აღარ სჭირდებათ.

— როგორც ვიცით, უფროსი შვილი, ვატო, რაგბის თამაშობს. შესაბამისი ასაკობრივი ნაკრებისთვის მზად არის?

— ვატო 15 წლისაა და „ბლექსის" ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა. ახლა რაგბისთვის დროებით თავი დავანებებინე. ინგლისელმა მწვრთნელებმა მირჩიეს, ამ ასაკში ხშირად გული უცრუდებათ რაგბიზე და დროებით დაასვენეო. ვატო მორკინალია. მესამე ხაზში თამაშობდა, ახლა მინდა, ერთი წელი ჭიდაობის რომელიმე სახეობაზე შევიყვანო, რომ კუნთი აისხას, მერე კი თვითონ გადაწყვეტს, დაუბრუნდეს რაგბის, თუ არა... უკვე სკოლას ამთავრებს და ლონდონის რომელიმე კოლეჯში გაგრძელებს სწავლას. შესაძლოა, რაგბისთვის დრო აღარც დარჩეს. უმცროსი ბიჭი, — გიორგი კი, 7 წლისაა. გიორგი თბილისში ცხოვრობს, ძვლები უკვე გაუმაგრდა და ფიზიკურად რომ მოღონიერდეს, მასაც ჭიდაობაზე შევიყვანთ. მე ჭიდაობაში კარგად ვერ ვერკვევი და ჩემს. ოდინდელ მწვრთნელს გურამ მოდებაძეს ვთხოვე, გიორგის მიხედოს. გურამი მირჩევს, რომელ სახეობაზე შევიყვანო. როდესაც გიორგი მოღონიერდება, შეიძლება, ისიც რაგბიზე მივიყვანო.

ბაჩო სვანიძე

ბადრი ჯიმილაძის ფოტო

კლოდ სორელის და გია რაფავას ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა

ბადრი კბილაძის ფოტო

სუფრა და შამპანური მალე იქნება

რევაზ ჭანტურიას ჩემპიონობა ჯერ არ დაუსველებია

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რევაზ ჭანტურიამ თავის „მეტალურგთან“ ერთად მაკედონიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „პელისტარს“ 41:26 მოუგო და ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ჩვენებური საჩემპიონო თამაშში 6 გოლით გამოირჩა. საერთოდაც წლეულს კარგი სეზონი ჰქონდა, სტაბილურად ძირითად შემადგენლობაში იყო და საშუალოდ 5-6 გოლი გაჰქონდა. ეს რეზონსთვის „მეტალურგის“ შემადგენლობაში მეორე საჩემპიონო ტიტულია, მანამდე ორჯერ ვერცხლის მედალი და ერთხელაც მაკედონიის თასი მოიგო, თუმც მალე-ვე, 18 მაისს, შანსი ექნება, მონაგარი კიდევ უფრო გაიმდიდროს, თუ თასის ფინალში მთავარმეტოქე „ვარდარს“ დაამარცხებს. გუშინ რეზოს მაკედონიაში შეეხმიანეთ, ჩემპიონობა მივულოცეთ და განვლილ სეზონზე ვესაუბრეთ...

— დიდი მადლობა. ძალიან გახარებული ვარ. მთელი სეზონი სტაბილურად ვთამაშობდით და ჩემპიონობა ნამდვილად დავიმსახურეთ. ბოლო ტურში „პელისტართან“ ოფიციალურად გავიფორმეთ ჩემპიონობა, თუმცა ყველაფერი მხოლოდ დროის საკითხი იყო, ჩვენს პირველობაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ერთი ტური დარჩა, შინ „მლადოსტს“ ვმასპინძლობთ და მედლებს და საჩემპიონო თასსაც იქ გადმოგვცემენ. ისე კი უკვე თასის ფინალზე ვფიქრობთ, 90 პროცენტით ფინალში ვართ და იქ „ვარდარს“ ველით. ძალიან გვინდა, კვირას ჩვენი უშუალო კონკურენტი დავამარცხოთ და შარშანდელი სეზონისთვის რევანში ავიღოთ. გასულ წელს ხომ მათ ორივე ტიტული მოგვიგეს.

— ჩემპიონობა თუ აღნიშნეთ?

— ჯერ არა. ამის დრო არც გვქონია. როგორც ვთქვი, ბოლო ტურს მომავალ ოთხშაბათს შინ ვთამაშობთ და მერე იქნება შამპანურები და სუფრა...

— საკუთარი თავით თუ ხარ კმაყოფილი, განვლილ სეზონს როგორ შეაფასებ?

— ვფიქრობ, რომ კარგი სეზონი მქონდა. სტაბილურად მიწევდა თამაში და გოლებიც გამქონდა. შეიძლება 5-6 გოლი ბევრი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ პროცენტულად კარგად ვისროტი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, დიდად ტრავმებსაც არ შევუწუხებივარ. ერთხელ ხელი ვიტკინე და შიგადაშიგ ფეხები მტკივა ხოლმე გადაღლილობისგან.

— როგორც ვიცი, შენს პოზიციაზე მოთამაშე სერბი ხელბურთელი გაუშვეს, ახლა ვის მოიაზრებ კონკურენტად?

— სერბი წავიდა და მაკედონიის ახალგაზარდული ნაკრების მოთამაშე გეორგიევი მოიყვანეს. კარგი ბიჭია, მაგრამ მე ვარ ძირითადის მოთამაშე და ალბათ ჯერ ასე იქნება.

— „ვარდარს“ თუ დაუპირისპირდით თასის ფინალში, ალბათ მაგარი თამაში იქნება. ისედაც არაფერს უთმობთ ერთმანეთს და თან ახლა, როდესაც ჩემპიონობა წაართვით...

— ასეა, ნამდვილი ომი მიდის ხოლმე. ცალკე პოლიცია და ცალკე სპეცრაზმი იცავს წესრიგს. 2500 კაცი ეტევა დარბაზში, მაგრამ ფეხზეც დგას ხალხი და 3000 გულშემატკივარი გროვდება. მიდის ყვირილი და ღრიანცელი.

— წლეულს ევროტურნირებზეც კარგად გამოხვედით. ევროპის ფედერაციის თასის გათამაშებაში სლოვენიურმა „კოპერმა“ მეოთხედფინალიდან გამოგაგდოთ...

— სიმართლე გითხრათ, აქამდე თუ მივიდოდით, არ მეგონა. მანამდე სერიოზული გუნდები ჩამოვიცილეთ. „კოპერი“ კი, ალალად ვიტყვი, ჩვენზე ძლიერი გუნდი გამოდგა.

— სეზონი მთავრდება და ხომ არ ფიქრობ გუნდის გამოცვლას. „მეტალურგს“ კარგა ხანს შემორჩი...

კონტრაქტი მიმთავრდება, მაგრამ ალბათ კიდევ ერთი წლით გავაგრძელებ. წასვლაზეც ვფიქრობ, თუმც აქაური გარემოს კარგად შევეწყვე, ენაც ვისწავლე და ადვილი არ არის ყველაფრის მიტოვება. ესეც არ იყოს, ჩემპიონთა ლიგაში თამაში მომიწევს, ეს კი მართლა ძალიან მინდა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დავრჩე.

— ნაკრებზეც ვთქვათ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში რთული მეტოქეები გვეყოლება, ამაზე რას იტყვი?

— მართლა ძალიან ძლიერი მეტოქეები შეგვხვდა. არადა, სხვა ჯგუფები გაცილებით იოლი მოჩანს. აქედან გასვლა წარმოუდგენელი იქნება. ერთი თურქეთია შედარებით სუსტი. იგივე ჩერნიგორია, ნახევრად სერბეთია, ვიცნობ მაგათ ბიჭებს და კარგი ნაკრები ჰყავთ. თქმა არ უნდა, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, მით უმეტეს, საშინაო თამაშებში. ვნახოთ, რა გამოვა. ისე კი, შედეგი ასე ადვილად არ მოდის, დრო სჭირდება. მომავალზე უნდა ვიფიქროთ და სათანადო ნაბიჯებიც უნდა გადაიდგეს. ერთი დარბაზი ვერ გაკეთებულა და...

ლექსო მაისურაძე

ტოჩინოშინმა გაასამართლა

კოკაი ვერც ასასორიუს შესძლო

მაისის ბაშოს მესამე ორთაბრძოლაში კოკაიდ წოდებულმა ლევან ცაგურიამ, რომელიც პირველი მაეგაშირას სტატუსით ასპარეზობს, იორიკირით წაგო ძლევამოსილ და უხვტიტულიან იოკოძუნა ასასიორუსთან. 22-გზის ჩემპიონმა ქართველი გოლიათის შეტევა მარცხენა მხარში ხელის დარტყმით გააჩერა და საპასუხო ძალისმიერი ილეთით დოჰიოს გარეთ გაიყვანა. ასასიორუმ ტურნირზე მეორედ იმარჯვა. ცაგურიას კი სამივე წაგება აქვს და შეიძლება ითქვას, რომ მისთვის მაისის ბაშო საშინლად დაიწყო. ქართველი ფალავანი ალბათ ჩემპიონობას ვერ შესწვდება, მაგრამ ტურნირს თუ დადებითი ბალანსით დასრულებს, მისთვის ეს შესანიშნავ შედეგად ჩაითვლება.

იოკოძუნა ჰაკუხომ კი კიდევ ერთი პირველი მაეგაშირა, ბალტი დაამარცხა. ჰაკუხომ სუსოხარაით დასცა ესტონელი. სუსოხარაი ქართული ჭიდაობის ბრუნის მაგვარი ილეთია და ნამდვილად გასაკვირია, როგორ მოახერხა ექვსგზის ჩემპიონმა 197 სანტიმეტრიანი ბალტის ასეთი გზით წაქცევა. ჰაკუხოს სამიდან სამი მოგება მოუგრავდა და ტურნირის აშკარა ფავორიტიც გახლავთ.

ტოჩინოშინად წოდებულმა ლევან გორგაძემ იორიკირით მოუგო აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა კოტოკასუგას და მესამე გამარჯვებაც მიითვალა. გეტყვით, რომ იორიკირი სუმოში ყველაზე გავრცელებული ილეთია და მოწინააღმდეგის ძალდაძალ დოჰიოდან გაყვანას ნიშნავს. გამარჯვებების 30 პროცენტი სუმოში ამ ილეთით მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ გორგაძე ჯერჯერობით მხოლოდ მე-14 მაეგაშირაა და ორჯერ მე-16 მაეგაშირებს შეხვდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაკუჩი დივიზიონში გორგაძის ჩინებული დებიუტი ალბათ ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა.

მეოთხე შეხვედრებს სუმოისტები დღეს გამართავენ. ტოჩინოშინი დასავლეთის მე-13 მაეგაშირა ტამანოსიმას ხვდება. ჩვენებურის მეტოქეს ორი გამარჯვება აქვს მონაგრებული. კოკაის ისევ რთული მოწინააღმდეგე ერგო. იგი ოძეკი კოტოოსიუს დაუპირისპირდება, ვისაც სამიდან სამი მოგება აქვს.

ზურაბ მიგრიაული

M-TEL მასტერსი

სოფია. ბულგარეთი. 7-18 მაისი

V ტური

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1:0	ბუ ქსიანცეი (ჩინეთი)
ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)	0,5:0,5	თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)
ლევონ არონიანი (სომხეთი)	0:1	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)

1. ვასილ ივანჩუკი	5
2. ვესელინ ტოპალოვი	,5
3. თეიმურ რაჯაბოვი	2
4. ივან ჩეპარინოვი	2
5. ლევონ არონიანი	1,5
6. ბუ ქსიანცეი	1

ივანჩუკმა ხუთიანი დაიწერა

ვასილი ივანჩუკი

ტურნირზე პირველი წრე დასრულდა და ცხრილს ერთპიროვნულად 5 ქულით ვასილ ივანჩუკი ლიდერობს. უკრაინელმა ხუთივე შეხვედრა მოიგო და ვესელინ ტოპალოვს 1,5 ქულით უსწრებს.

მეხუთე ტურში ივანჩუკმა შავი ფიგურებით ლევონ არონიანი დაამარცხა. პარტია სომეხმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მე-7 სვლაზე მხედარი კუში გაცვალა და მარცხენა ფლანგზე პაიკები დაქოქა. ივანჩუკმა ასპარეზზე დედოფალი გამოუშვა, თეთრ ფიგურებს დაერია და მე-15 სვლაზე პაიკს გამორჩა. 24-ე სვლაზე უკრაინელმა ლაზიერი ეტლებში გაუცვალა სომეხს, იერიშები კიდევ უფრო გააძლიერა და უპირატესობას დაეუფლა. არონიანი მიხვდა, რომ თამაში წაგო, 43-ე სვლზე ლაზიერი მოწინააღმდეგეს აჩუქა და მომდევნო სვლაზე ხელიც ჩამოართვა.

ტოპალოვმა კი თეთრებით აუტსაიდერი ბუ ქსიანცეი 31-ე სვლაზე დააშამათა და პირველობის შანსი შეინარჩუნა.

ლაშა გეგეჭკორი

ნიუეგოროდოვის ჩებოქსარული



მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ, მოკლედ კი იაააფ-მა რუსეთის პროვინციულ ვოლგისპირა ქალაქ ჩებოქსარს წლეულს სპორტული სიარულის მსოფლიოს თასის უწყალობა და ტურნირმაც გაამართლა — ჩუვაშეთის დედაქალაქმა მსოფლიოს რეკორდი აჩუქა.

50 კილომეტრ სპორტულ სიარულში 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, რუსმა დენის ნიეგოროდოვმა ეს დისტანცია 3 საათში, 34 წუთსა და 13 წამში გაიარა და 2006 წელს ავსტრალიელი ნათან დიქსის მიერ დამყარებულ ძველ რეკორდს 1 წუთი და 34 წამი ჩამოაჭრა.

ივანე კოგბიაზვილი

ცონგა თიხითაც კმაყოფილია

საჩოგბურთო სამყარო გამალებით ემზადება წლის მეორე სლემტურნირისთვის — „როლან გაროსის“ დაწყებამდე ხომ ორ კვირაზე ნაკლები დარჩა. სეზონის მეორე დიდი შეჯიბრებისთვის ბოლო გენერალურ რეპეტიციას კაცები ჰამბურგში, ქალები კი რომში გადიან.

ჩვენ ჰამბურგში მომხდარი ამბებით დავიწყებთ, რადგანაც ეს ტურნირი მასტერსის სერიისაა და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. თანაც გერმანიაში ჩასვლა არც ერთმა ბობოლამ არ ითაკილა, რაც ტურნირს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. თუმც ეს ბობოლები ჩვეულებისამებრ პირველ წრეს ტოვებენ — როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი ჰამბურგში ჯერ მხოლოდ ვარჯიშობენ და იქაურ პირობებს ეგუებიან. ამის მიუხედავად, იმის თქმა მაინც არ შეიძლება, გერმანულ კორტებზე საინტერესო არაფერი მომხდარაო.

ჰამბურგში უკვე მოასწრეს ორი განთესილი მეჩოგნის გაგდება — ეს უიღბლოები მიხაილ იუჟნი და პოლ-ანრი მატიო არიან. პირველი ფერნანდო ვერდასკომ გამოიჭირა და ბოლო თვეებში მშვენივრად მოთამაშე რუსისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. მატიო კი, ადგილობრივთა გასახარად, ნიკოლას კიფერმა დაიფრინა, რისთვისაც გერმანელს ორივე სეტში გაკეთებული თითო ბრეიკი ეყო.

სტაბილურად ახერხებს პირველი წრის დაძლევას მარატ საფინი. ისე, მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი ტურნირზე ძლივძლივობით მოხვდა — დღეს რეიტინგში 89-ე საფეხურზე მყოფ რუსს გერმანიაში თამაში არც ეკუთვნოდა, მაგრამ ორგანიზატორებმა ძველი დამსახურებები გაუხსენეს (ტურნირის ორგზის ფინალისტია) და მიიპატიჟეს. საფინმაც ეს საჩუქარი შეირგო და ხორვატი თინეიჯერი მარინ ჩილიჩი ორ სეტში მიჩოგნა. მეორე წრეში მარატს გაცილებით სერიოზული გამოცდა ელის ტომაშ ბერდიხის სახით, თუმც ეს გადაულახავი ბარიერი სულაც არ არის, რადგანაც ორიოდ თვის წინ დევისის თასზე რუსმა შეძლო ჩეხის წაქცევა.

ATP-ის დონეზე თავისი პირველი სათიხნარო თამაში მოიგო ჟოვილფრედ ცონგამ. სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა ამ საფარს არასდროს სწყალობდა და თანამემამულე ნიკოლა მატუსიანაც ძალიან მძიმედ დაიწყო — პირველ სეტში გეიმიც ვერ აიღო, მაგრამ ცონგა თავისთვის უჩვეულო გარემოს ნელ-ნელა შეეჩვია და ჯერ ტაიბრეიკზე იხეირა, გადამწყვეტ სეტში კი მატუს შანსი აღარ დუტოვა.

„თავიდან გვარიანად დაბნეული ვიყავი და არც ვიცოდი, რა უნდა მექნა, მაგრამ ვფიქრობ, ამ საფარზეც შემიძლია კარგად გამოსვლა. მთავარია, თიხნარზე რაც შეიძლება ხშირად ვითამაშო, რომ გამოცდილება დავაგროვო“ — ხარობდა ნამატჩევს ცონგა.

ახლა კი რა ხდება რომში, სადაც ჯერჯერობით ყურადღება კორტს მიდმაა გადატანილი. ბოლო დღეებში იტალიის დედაქალაქში პრესა მარია შარაპოვასა და ანა ივანოვიჩის პრესკონფერენციებით უფრო დაინტერესდა, ვიდრე რომაულ თიხაზე გამართული შეხვედრებით.

თუმც ჩვენ მაინც კორტზე დატრიალებულ ამბებს უნდა მივუბრუნდეთ. თავისი მორიგი შეხვედრა მოიგო ვერა ზვონარიოვამ. ეს რუსი წლეულს მართლაც არ ზოგავს თავს, რადგანაც თითქმის ყოველ კვირა თამაშობს. აკი ეს მოგებაც მისთვის სეზონში უკვე 32-ე იყო. ამ მხრივ მის უახლოეს მდევრებს, შარაპოვასა და ელენა იანკოვიჩს კი მხოლოდ 24-24 გამარჯვება აქვთ აქტივში. ზვონარიოვამ ამჯერად გამოცდილი აი სუგიამა მიჩოგნა, რასაც საათი და 17 წუთი მოანდომა. გამოვყოთ თინეიჯერების — კაროლინ ვოზნიაკისა და აგნეს სჟავაის წარმატებანიც. პირველმა თავის კბილა ტამირა პაუეკს მოუგო, სჟავაიმ კი ჩინელ იან ძის გადაურბინა.

ძახა ლოგაჯანიძე

დევიძემ როლიში მოგებით დაიწყო



სალომე დევიძე

სალომე დევიძემ წარმატებით დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ კაროლინის მთავარქალაქ როლიში, ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში.

პირველ წრეში სალომემ ჩრდილოკაროლინურ თიხნარზე კორტის მასპინძელი, 34 წლის მერლინ ბეიკერი 6:1 6:1 გაანადგურა და ახლა, ძირითად ბადეში მოსახვედრ თამაშს 19 წლის უკრაინელ ანასტასია ხარჩენკოსთან გამართავს, ვისაც WTA-ს რეიტინგში 760-ე პოზიცია უკავია.

ამავდროულად გაირკვა, რომ ანა ტატიშვილი, ვინც ძირითად ბადეშია, მე-6 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში კვალიფიკაციიდან წამოსულ მეტოქეს შეხვდება.

გაირკვა სოფო ქვაცაბაიას პირველი მეტოქის ვინაობაც. სოფო ესპანური ბადალონას თიხნარზე, 10-ათასიან ტურნირზე თამაშობს და საწყის შეხვედრას მე-8 ნომრად განთესილ 19 წლისა და კლასიფიკაციის 562-ე საფეხურზე მყოფ ბრაზილიელ ფერნანდა ერმენეჟილდოსთან ჩაატარებს.

ნოდარ ითონიშვილმა კი უკვე დაასრულა უზბეკური ნამანგანის მაგარსაფარზე თამაში. კვალიფიკაციის პირველ წრეში ჩვენებურმა 6:2 6:4 კი მოუგო კორტის მასპინძელ იგორ შელიაკინს, მაგრამ შემდეგ 1:6 4:6 წააგო რუს მიხაილ ფუფიგინთან და ძირითად ბადეში ვერ გააღწია.

ჰლეი ოფი ნახევარფინალი

დასავლეთი

დალასი 2:5 დეტროიტი

1:2 1:1 0:2

სერია დეტროიტს მიჰყავს 3:0

0:1 დაციუკი (10, ზეტერბერგი, რაფალსკი), 1:1 გროსმანი (16, მოდანო, მოროუ), 1:2 დაციუკი (16, ჰოლმსტრომი, რაფალსკი), 2:2 რიჩარდსი (24, ერიკსონი, ლუნდკვისტი), 2:3 გუდლერი (32, კრუნვალი, მაკარტი), 2:4 ზეტერბერგი (42, უმცუასისტენტოდ), 2:5 დაციუკი (58, ზეტერბერგი)

მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი

II ჯგუფური ეტაპი

E ჯგუფი

შვეიცარია 3:5 რუსეთი

0:3 0:1 3:1

0:1 კალინინი (16), 0:2 ოვეჩკინი (18), 0:3 სუშინსკი (19), 0:4 ფიოდოროვი (31), 1:4 სანიცი (41), 2:4 ვოკლერი (46), 2:5 სუშინსკი (58), 3:5 ლემი (59)

შვედეთი 5:3 ჩეხეთი

0:0 2:2 3:1

1:0 სტროლმანი (27), 1:1 ელიაში (31), 2:1 ნილსონი (34), 2:2 კოტალიკი (39), 3:2 ვეინჰანდლი (42), 3:3 ფლეიშმანი (50), 4:3 ჩერნკვისტი (56), 5:3 ნილსონი (60)

ბელარუსი 2:3 დანია

0:0 0:1 2:1 0:1 (ოვერტაიმში)

0:1 სტაალი (24), 1:1 უგაროვი (56), 2:1 მელეშკო (58), 2:2 რეგინი (60), 2:3 რეგინი (63)

რუსეთი	3	2	0	0	21:13	13
ჩეხეთი	2	1	1	1	20:14	9
შვედეთი	3	0	0	2	23:16	9
შვეიცარია	3	0	0	2	16:15	9
ბელარუსი	0	0	3	2	13:18	3
დანია	0	1	0	4	9:26	2

F ჯგუფი

კანადა 6:3 ფინეთი

2:1 2:0 2:2

1:0 გეცლაფი (1), 1:1 პილსტრომი (6), 2:1 დოუნი (10), 3:1 ჰიტლი (31), 4:1 შარპი (39), 5:1 დოუნი (42), 5:2 პილსტრომი (49), 6:2 ჰიტლი (59), 6:3 რუუტუ (60)

აშშ 9:1 ნორვეგია

3:0 3:1 3:0

1:0 დუბინსკი (12), 2:0 ბრაუნი (13), 3:0 კეინი (20), 4:0 დუბინსკი (26), 4:1 ტრიუგი (29), 5:1 მარტინი (32), 6:1 ჰარიზე (33), 7:1 ბრაუნი (43), 8:1 კეესელი (46), 9:1 დუბინსკი (52)

ლატვია 3:5 გერმანია

1:1 2:1 0:3

1:0 ვასილიევსი (6), 1:1 შმიდტი (19), 2:1 რედლიხი (26), 2:2 ვოლფი (28), 3:2 კარსუნსი (32), 3:3 შუბერტი (48), 3:4 ზაიდენბერგი (51), 3:5 ულმანი (53)

კანადა	5	0	0	3	0:9	15
ფინეთი	3	1	0	1	16:12	11
აშშ	3	0	0	2	25:13	9
ნორვეგია	1	0	1	3	8:20	4
გერმანია	1	0	0	4	13:27	3
ლატვია	1	0	0	4	8:19	3

შენიშვნა: *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები*

გუნდებს გადმოყოლილი აქვთ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულები

მთავარი ახლა იწყება

კანადაში მიმდინარე ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ჯგუფური ეტაპი მიილია და მეოთხედფინალების ჯერიც დადგა. შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის ყველაზე საინტერესო ნაწილი ახლა იწყება. ჩვენ კი თვალი გადავავლოთ მეოთხედფინალურ წყვილებს და მათ მიერ აქამდე განვლილ გზას.

საუკეთესო შთაბეჭდილებას ჯერჯერობით მასპინძლები ტოვებენ, რომლებმაც ორივე ჯგუფური ეტაპი უდანკარგოდ გაიარეს და ძალიან შთამბეჭდავი ჰოკეიც ითამაშეს. სწორედ ამიტომ, ეჭვი არავის ეპარება, რომ კანადელებს არც შემდეგი ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ, მით უმეტეს, ნორვეგიელებთან უწევთ თამაში. თუმც მეორეს მხრივ, მასპინძლებს წლევანდელ ჩემპიონატზე ყველაზე მეტად სწორედ ვიკინგებთან გაუჭირდათ — ეს ნაკრებები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ კანადელებმა მხოლოდ 2:1 მოიგეს. მეტიც, ნორვეგიელებს ოდნავ უფრო მაღალი კლასის შემსრულებლები რომ ჰყოლოდათ, იმ შეხვედრას მინიმუმ არ წააგებდნენ, რადგან უამრავი შანსი გაანიავეს.

მაგრამ საეჭვოა, ვიკინგებს ახლაც გაუმართლოთ — ჯერ ერთი, კანადელებმა იციან, რას უნდა ელოდნენ მეტოქისგან და თან ამ შეხვედრას უფრო მეტი პასუხიმგებლობით მოეკიდებიან.

არ გაუმართლათ ამ ჩემპიონატზე მშვენივრად მოთამაშე შვეიცარიელებსაც — ალპელებმა შვედების დამარცხებაც მოასწრეს და არც სხვა ბობოლებს დაუხარეს თავი, მაგრამ სასწაული უნდა მოხდეს, მეოთხედფინალს რომ გასცდნენ, რადგან ისინი ჩემპიონატის კიდევ ერთ ფავორიტ რუსებს ხვდებიან. სლავებს თავიდან ბლომად პრობლემები კი ჰქონდათ, მაგრამ ვიაჩესლავ ბიკოვმა შეძლო ოპტიმალური შემადგენლობის დაყენება და რუსებიც ბოლო შეხვედრებში ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ.

თუ ზემოთ მოყვანილ ორ წყვილში ფავორიტების დასახელება ადვილად შეიძლება, დანარჩენ ორ ჯგუფში რა მოხდება, არავინ იცის — აქ ხომ ერთმანეთს ფინეთი-აშშ და შვედეთი-ჩეხეთი დაეტაკებიან.

ნამდვილი ომია მოსალოდნელი იანკებსა და ფინელებს შორის. ჯგუფურ ეტაპზე გამართული მათი შეხვედრა ძალიან დაძაბული და უაღრესად უხეში გამოდგა, რომელშიც სუომის ნაკრებმა თავისი გამოცდილი ლიდერების — საკუ კოივუს, ტეემუ სელიანესა და ნიკო კაპანანენის დახმარებით მესამე პერიოდში ორშაიბიანი დეფიციტი აღმოფხვრა და ახალგაზრდა ამერიკელებს უჩვენა, რომ თამაში ბოლო წამამდეა საჭირო.

თანაბარი შანსები აქვთ შვედებსა და ჩეხებსაც. მართალია, სლავებმა კანადაში გაცილებით მეტი ნჭლ-ელი იახლეს და ჩემპიონატის მიმდინარეობისას შევსებაც მიიღეს ნჭლ-ის ჰლეი ოფიდან გამოვარდნილი გუნდებიდან, მაგრამ ბენგტ-აკე გუსტაფსონი ძალიან ცბიერი მწვრთნელია და დიდი შანსია, ჩეხებს რაიმე სიურპრიზი შესთავაზოს.

ძახა ლოგაჯანიძე

გაავფულიანდით

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) გადაწყვიტა, რომ საქართველოს რაგბის კავშირი მომდევნო ოთხ წელიწადში 1.7 მილიონ გირვანქას მიიღებს და ეს ფული ქვეყანაში რაგბის განვითარებას უნდა მოახმაროს.

საერთო ჯამში დაფინანსება 22 სარაგბო ქვეყანაზეა განაწილებული, ოღონდ რა პრინციპით, ამას კი ზუსტად ვერ გეტყვით. ასე მაგალითად, რეიტინგში ჩვენზე უკან მყოფი რუმინეთი უფრო მეტს — 2.1 მილიონს მიიღებს, მაშინ როცა ბობოლა ქვეყნებს მილიონზე მეტი არ ერგებათ.

გათვლა ალბათ ის არის, რომ იმათი რაგბი ისედაც კარგად არის განვითარებულიო.

რუსეთს 1.1 მილიონი ერგება.

კოტე კეკელია

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



სტამბოლში ფერნანდო ალონსოს „რენო“ მეექვსე იყო

მეექვსე ალონსო მეშვიდედან ითვლის

სტამბოლში, თურქეთის დიდ პრიზზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ მეექვსე ადგილი დაიკავა და ნაჩვენები შედეგით კმაყოფილი დარჩა.

ალონსოზე წინ მხოლოდ „ფერარის“, „მაკლარენისა“ და „BMW-ზაუბერის“ მრბოლები იყვნენ, ყველა დანარჩენს ესპანელმა უპრობლემოდ აჯობა და იქიდან გამომდინარე, რომ „რენო“ ჯერჯერობით არ არის ხსენებული სამი ტოპგუნდის კონკურენტი, ნანდოს კმაყოფილებას საფუძველი ნამდვილად გააჩნია.

„მანქანა საკმაოდ სწრაფი იყო და სამი, უაღრესად ფასიანი ქულა მოვიპოვე. ეს შედეგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ გუნდი პროგრესის გზას ადგას. მთავარი ის იყო, რომ კარგი სტარტი მქონდა, შემდეგ კი ყველაფერი მშვენივრად წარიმართა.

ჩვენ კარგად დაბალანსებული ბოლიდი და ჭკვიანური სტრატეგია გვქონდა. არც საბურავებზე შეგვქმნია პრობლემები. ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ „რენო“ უკვე კარგ ფორმაშია, თუმც ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რათა მოწინავე გუნდებს დავეწიოთ“ — განაცხადა ალონსომ პრესკონფერენციაზე.

ბევრი მიიჩნევს, რომ „რენოს“, უკვე შემდეგ ეტაპზე, მონტეკარლოში ძალუძს მინიმუმ პოდიუმისთვის ბრძოლა, მით უმეტეს, რომ იქაურ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მანქანის სიმძლავრეზე მეტი მნიშვნელობა პილოტის ოსტატობას ენიჭება და ოსტატობის თვალსაზრისით კი ალონსო თუ ყველას არ აღემატება, არც არავის ჩამოუვარდება. თუმცა, თავად ესპანელი სხვანირად ფიქრობს.

„ყველა ეტაპის წინ არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ორ კვირაში ძალთა განლაგება შეიცვლება, მაგრამ საბოლოო ჯამში პირველობისთვის, მაინც „ფერარი“ და „მაკლარენი“ იბრძვიან, ანდა „რენო“, როგორც ეს 2005-06 წლებში იყო. ვინც აქამდე იგებდნენ, მონტე კარლოშიც ისინი იქნებიან პელოტონის თავში. ასე რომ, სიურპრიზებს ნუ ელოდებით — განაცხადა ფერნანდომ და დაამატა — სამი მოწინავე გუნდი, ჯერჯერობით, დანარჩენებს უზარმაზარი უპირატესობით ჯობნის. რეალურად, ნებისმიერ რბოლაში, მხოლოდ მე-7 ადგილისთვის ვიბრძვი და თურქეთშიც მეშვიდე ვიქნებოდი, ჰეიკი კოვალიანენს („მაკლარენი) პირველივე წრეზე საბურავი რომ გახდომოდა გამოსაცვლელი. სწორე მე-7 ადგილი იქნება ჩვენი ორიენტირი უახლოეს დად პრიზებზე და შემდეგ კი ვნახოთ — იმედია, „რენოს“ პროგრესი უფრო შთამბეჭდავი გახდება და შევძლებთ პირველ სამეულთან მიახლოებას“.

კახა ლომაძე

უიტმარშს კოვალაინენი და მონტე კარლო სჯერა



მარტინ უიტმარში

თურქეთის დიდი პრიზის პირველივე წრეებზე „მაკლარენის“ ფინელ პილოტ ჰეიკი კოვალაინენს ბოქსში მოუწია შესვლა გახვრეტილი საბურავის შესაცვლელად. ამ დაუგეგმავმა პიტ-სტოპმა კვალიფიკაციაში მეორე შედეგის მქონე მრბოლი ერთბაშად პელოტონის ბოლოს გადაისროლა და, მართალია, ამის შემდეგ ჰეიკიმ დიდებულად იარა, პოდიუმსა და ქულათა ზონას ვინ ჩივის, ათეულშიც ვერ შეაღწია.

„მაკლარენის“ მმართველი დირექტორის მარტინ უიტმარშის აზრით, რომ არა იძულებითი პიტ-სტოპი, კოვალაინენი „ისტანბულ-პარკში“ გამარჯვებისთვის იბრძოლებდა. „ჰეიკიმ კვალიფიკაციისას ფანტასტიკური სამუშაო ჩაატარა და ძალზე სამწუხაროა, რომ მისი შედეგი ვერ მოიმკო. არასოდეს მინახავს ის ასეთი გულდაწყვეტილი. ის გრძნობდა, რომ ამ რბოლის მოგება შეეძლოა და მეც ასე მგონია, რომ პირველობისთვის იბრძოლებდა. სამწუხაროა, რომ კოვალაინენმა მისდა უნებურად დაკარგა ასეთი შანსი, მაგრამ, მეორე მხრივ, მან მართლაც დიდებულად იმუშავა.

ის, რაც არ გამოვიდა თურქეთში, სხვაგან გამოვა — ჰეიკი აუცილებლად მოიგებს დიდ პრიზებს წლეულსაც და მომავალშიც. ის იმსახურებს ამას — განაცხადა უიტმარშმა და იქვე, მომავალი, მონტე კარლოში გასამართი რბოლის შესახებაც თქვა ორიოდე სიტყვა — მონაკოში ჩვენ კონკურენტუნარიანი მანქანა გვეყოლება და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. თანაც ორივე ჩვენს პილოტს, ლუის ჰემილტონსაც და კოვალაინენსაც, ძალიან უყვარს ეს ტრასა. შარშან მონტე კარლოში ლუისი მეორე იყო და მჯერა, ახლა პირველობასაც შეძლებს“.

კახა ლომაძე

იტალიური წრე სიცილიიდან დაიწყო

კუნძულ სიცილიაზე სეზონის პირველი დიდი ველორბოლა, რიგით 91-ე „ჯირო დიტალია“ გახურდა. პირველი ეტაპი ოცდასამნახევარკილომეტრიანი გუნდური რბოლა იყო და ახალი ამერიკული ველოგუნდის, „სლიპსტრიმის“ გამარჯვებით დასრულდა, ამ გუნდის ამერიკელმა მრბოლმა კრისტიან ვანდეველდემ კი სიმბოლურად მოირგო ლიდერის ვარდისფერი მაისურა.

მეორე ეტაპი ცეფალუდან აგრიჯენტომდე 207 კილომეტრზე იყო გაჭიმული. გამარჯვებულის ბედი ჯგუფური ფინიშისას გაირკვა და ესპანური „სონი დიუვალის“ იტალიელმა მრბოლმა რიკარდო რიკომ თანამემამულეებს, „ჯიროს“ შარშანდელ ტრიუმფატორ დანილო დი ლუკას, დავიდე რებელინს, ფრანკო პელიცოტისა და პაოლო საგოლდელის აჯობა. ვარდისფერი მაისურა კი ვანდეველდესგან „ლიქუიგასის“ წევრ პელიცოტიზე გადავიდა.

პელიცოტიმ ლიდერობა მესამე ეტაპის შემდეგაც შეინარჩუნა. კატანიადან მილაცომდე მრბოლებს 221 კილომეტრი ჰქონდათ, გასავლელი და ფინიშამდე 70 კილომეტრით ადრე „გეროლშტაინერის“ ანდრეა მოლეტას წაქცევამ მასიური ზედახორა გამოიწვია, რომლის დროსაც რიკოც დაშავდა და წინ წასულებს საგრძნობლად ჩამორჩა.

გამარჯვებულის ბედი კი კვლავ საფინიშო სპურტისას გაირკვა, ოღონდაც ამ ჯერზე მთავარი გმირები ნამდვილი სპრინტერები იყვნენ, ისეთები, როგორებიც დანიელე ბენატი, ერიკ ცაბელი და დანილო ჰონდო არიან.

ცაბელი ბევრს კი ეცადა, მაგრამ ვეტერანს ძველებური სისწრაფე აღარა აქვს და შედეგად, იტალიელმა ბენატიმ აჯობა გერმანელთა დუეტს.

დანიელე ბენატი

91-ე ჯიროს დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

III ეტაპი

კატანია - მელაცო. 221 კმ

1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“)	5 სთ 37 წთ 01 წმ
2. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“)	
3. დანილო ჰონდო (გერმანია, „დიქუიჯოვანი“)	
4. ტომას ფოტენი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	
5. ალბერტო როდო (იტალია, „ტინკოფი“)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი“)	11 სთ 52 წთ 17 წმ
2. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „სლიპსტრიმი“)	+1 წმ
3. დანილო დი ლუკა (იტალია, დზკ)	+7
4. მორის პოზონი (იტალია, „ჰაი როადი“)	+8
5. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი“)	+8

ჯიროს რეკორდები

მოგებული რბოლა: 5 — ალფრედო ბინდა (იტალია), ფაუსტო კოპი (იტალია), ედი მერქსი (ბელგია)

პირველ სამეულში მოხვედრა: 9 — ფელიჩე ჯიმონდი (იტალია)

მოგებული ეტაპები: 42 — მარიო ჩიპოლინი (იტალია)

ზედიზედ მოგებული ეტაპები: 8 — ბინდა (1929)

ერთ რბოლაში მოგებული ეტაპები: 12 — ბინდა (1927)

ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული: 34 წლის და 180 დღის — ფიორენცო მანი (იტალია,1955)

ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული: 20 წლის — კოპი (1940)

ყველაზე ასაკოვანი მონაწილე: 44 წლის — ალბერტო ჯილარდი (იტალია, 1954)

ლიდერობის დღეები: 77 — მერქსი

ლიდერობა სტარტიდან ფინიშამდე: ჯანი ბუნიო (იტალია, 1990)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭალიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხიმერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დგგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge